197

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 265
დეკემბრის 11, ოთხშაბათი 1902 წ.
1877

ივერია

№ 265
დეკემბრის 11, ოთხშაბათი 1902 წ.
1902

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

პოდპოლკოვნიკი თავადი გიორგი ბესარიონის ძე, დავით გიორგის ძე და ეკატერინე გიორგის ასული მიქელაძენი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებასა პირველი მეუღლისა, ხოლო უკანასკნელნი დედის

კნეინა სოფიო პეტრეს ასულის მიქელაძისას

და სთხოვენ მობრძანდნენ მიცვალებულის დაკრძალვაზედ 12 დეკემბერს დილის 9 საათზედ სოფ. კულაშს. (1—6—1)

1-ლ დეკემბრიდგან წლის დამლევამდე გაზეთი «ივერია» ღირს **1** მან. **50** კაპეიკად.

1903 წელს

გაზეთი „**ივერია**“ გამოვა იმავე სივრცით და პროგრამით, როგორც დღემდე გამოდიოდა,

ფასი გაზეთისა მთელის წლით იქნება **თუმანი**. ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

ვინც ახლავე დაიბარებს გაზეთს მერმისისთვის და ერთს თუმანს წარმოადგენს, ამა ნოემბრისა და დეკემბრის ნომრები მუქთად გაეგზავნება.

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისში:—„ივერიის“ რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117და 118) და ქ. შ. წერა-კითხვ. გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).

ქუთაისში:—ბეჟანიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში, ქუთ. წიგნების გამომც. ამხანაგობის კიოსკში, აგრეთვე სოსიკო მერკვილაძესთან.

ბათუმში: ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში, და ჭელიძის წიგნის მაღაზიაში.

ფოთში: ავქსენტი ისიდორეს ძე ბიბილეისთან.

ბაქოში:—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოოზის ქ., ქალანთარის ქარვასლის პირდაპირ).

საგურამოში. პეტრე მაჭავარიანთან.

შორაპანში:—პართენ ნასიძესთან.

განჯაში:—სოფრონ კანდელაკთან (სადგურზედ).

გორში:— ანტონ კასრაძესთან.

განცხადება პირველ გვერდზედ—10 კაპ. სტრ., მეოთხეზედ—5 კაპ. მთელი ფერდი გვერდი გაზეთისა ცალკე მორიგებით.

12 თვ. 10 მ., 11-თ—9 მ. 50 კ., 10-თ—8 მ. 75 კ., 9-თ—8 მ., 8-თ—7 მ. 25 კ., 6-თ—6 მ. 50 კ., 5-თ—5 მ. 50 კ., 4-თ—4 მ. 75 კ., 3-თ—3 მ. 50 კ., 2-თ—2 მ. 75 კ., 1-თ—1 მ. 50 კ.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверіа“.

ს.-პეტერბურგის კომპანია „ნადეჟდა“

ზღვით, მდინარით და ღმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირთის გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად

დაარსებულია 1847 წელს.

ძირითადი თანხა	1.650.000 **მან.**
სათადარიგო თანხა	2.664,808 **მან.**

I. გაგზავნა ტვირთისა.

300 სააგენტოზედ მეტია ევროპიულ რუსეთის ყველა უმთავრესს ადგილას, კავკასიაში, შუა აზიაში, ციმბირში და შორეულ აღმოსავლეთად, აგრეთვე წარმომადგენელნი ჰყავს უმთავრესს ქალაქებში საზღვარ-გარედ.

კომპანია კისრულობს გაგზავნას და გადაზიდვას ყოველ-გვარ საქონლისა და ნივთისას, მიღებას და ჩაბარებას სახლში, საწყობსა და მაღაზიაში.

კისრულობს ჩაბართს ბარგი გამგზავნთა მიერ აღნიშნულ პირობით (ფას-დადებით გამგზავნის ხარჯზედ, ფულის გაგზავნა დეპეშით საქონლის გაგზავნისათვის იქ, სადა ბარგი და საქონელი უნდა იქმნას ჩაბარებული და სხ.).

მესახვა საქონლისა შეღავათიანის პირობით იმ დრომდე, ვიდრე პატრონს ჩაჰბარდებოდეს და დაზღვევა მისი საწყობში, რისთვისაც ბევრგან გვაქვს დიდნი საკუთარნი საწყობანი, განსაკუთრებით საქონლის შესანახად მოწყობილნი.

II. ნაოსნობა.

კომპანიას აქვს საკუთარი გემები, ზღვებსა და მდინარეში სავლელი ნავები (ბარჟები) პასაჟირებისა და საქონლისათვის, აგრეთვე საბუქსირო გემები (სულ 70 ნავი და გემი). ავდიანი მიმოსვლა პასაჟირთა და ზიდვა საქონლისა მდ. ვოლგას ყოველ ბაქან შორის, რიბინსკიდგან ასტრახანამდე და კასპიის ზღვის ყოველ პორტს შორის, ასტრახანიდგან სპარსეთის საზღვრებამდე.

უზარმაზარნი საწყობნი საქონლისა ნიჟნი-ნოვგოროდში (სიბირის ბაქანთან, ასტრახანსა, ბაქოსა და კრასნოვოდსკში).

III. დაზღვევის ოპერაციები.

ა) **დაზღვევა** საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვითა და არით.

ბ) **დაზღვევა** ცეცხლისაგან ყოველგვარ ქონებისა.

გ) **დაზღვევა** ყოველ-გვარ ხიფათისაგან გზაში ნავთა ამა თუ იმ ნაწილისა, გემთა, ბარჟებისა ვაგონებისა და ვაგონ-ცისტერნისა.

დ) **დაზღვევა** განძისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ მსოფლიო საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.

დაზღვევას კისრულობს როგორც გამგეობა ისე კომპანიის სააგენტონი ყველგან. სატრანსპორტო სააგენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაციას აწარმოებენ 350-ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისაგან დაზღვევის სააგენტონი.

გამგეობა ს.-პეტერბურგის კომპანიის „**ნადეჟდას**“-ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისტვის პროსპექტზედ, სახლის № 10.

სანდო კაკნი და რწმუნებულნი: საზღვაო ნაოსნობის საქმეთათვის—ბაქოში, მდინარეთა ნაოსნობისათვის—ნიჟნი-ნოვგოროდში.

ტფილისის სააგენტო სასახლის ქუჩაზე, ქართველთა თავად-აზნაურობის სახლში. ტელეფონი № 108. (120—6.—65)

№ 22. ტელეფონი № 617.

საბენეფისო წარმოდგენა

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 12 დეკემბერს, 1902 წ.

ვ. ა. აბაშიძის საბენეფისოდ

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილ იქნება

ქ-ნი **ტასო აბაშიძისა და ბ-ნ ი. კარგარეთელის** მონაწილეობით

I

მუზმუზელა

(ტარტიუფი)

კომ. 5 მოქ. მოლიერისა, თარგ. ივ. მაჭავარიანისა.

II

მეჯლისი იტალიელებით

ოპერეტა 1 მოქ. მუზიკა ოფენბახისა თარგ. ვ. აბაშიძის მიერ.

ორკესტრი **ნ. ზ. ქართველიშვილის** ლოტბარობით.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: ტასო აბაშიძე, გაბუნია-ცაგარლისა, ნ. გამყრელიძისა, ალ. კარგარეთელი, ოლ. ლეჟავა, ნ. რიონელი. ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, გამყრელიძე, ვ. გუნია, ი ივანიძე, ქ. მესხი, ს. სვიმონიძე, კ. შათირიშვილი, რომანიშვილი, რკინელი და სხვანი.

ადგილების ფასი საბენეფისოა.

შეგირდებისათვის (ვინც ფორმაშია) ადგილები 60 კაპ.

დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.

მზადდება წარმოსადგენად „გრიგალი“, „სიძე-სიმამრი“, „აწინდელი ოჯახი“. „მიკუნჭული ბედნიერება“ და სხვ.

თეატრის გამგეობა უმორჩილესად სთხოვს მაყურებლებს, პიესის მოქმედების დროს ტაშს ნუ დაუკრავენ და ნუ გამოიწვევენ ხოლმე მსახიობთ, რადგან უდროვო-დროს მოქმედების შეწყვეტა პიესას ახდენს და მსახიობთაც აკრძალული აქვთ მოქმედების დასრულებამდე გამოსვლა თავის დასაკრავად.

რეჟისორი **ვალ. გუნია.**

21 დეკემბერს არტისტიულ საკონცერტო ზალაში გაიმართება ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ

საღამო,

რომელშიაც მიიღებენ მონაწილეობას: ბბ. ნიკოლაევი, (არტისტი), პალივკა (ვიოლონჩელისტი), ვილშაუ (მესკრიპკე), ბროდეკიმეტინი (მომღერალი), ქ. ბაბაევისა, ბ. აკაკი წერეთელი, ვ. ბალანჩივაძე და ქართული ხორო (ქალებისა და კაცებისა) ბ-ნი ფალიაშვილის ლოტბარობით.

ბილეთები იყიდება ქ. შ. წერა-კითხვ. გამავრც. საზოგად. კანცელარიაში (თავად-აზნაურთა ქარვასლა).

კონცერტის შემდეგ გაიმართება ქართულ-ევროპიული **ცეკვა**

(5—6.—5)

ქართველ ქალთა ამხანაგობის

სამკერვალოში

მიიღებენ ყოველგვარ ხელსაქმეს: თეთრეულს, ფერადი ძაფით ნაკერებს და **კაბებს** ქალებისას და ბავშვებისას.

ბარონის ქუჩა, № 12.

ექიმი ალ. მაღალაშვილი

მიხეილის ქუჩა, 30. ტელეფონი № 450

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს დილის 10—1-დე და საღამოთი 6—8-დ. წლ.

დაიბეჭდა და დაურიგდა ქართულის წიგნის ყველა მაღაზიას გასასყიდათ ახალი ქართული წიგნი

„ჩვენს დედებს“

პედაგოგიური წერილები ალ. ნათაძისა.

ფასი 25 კაპ.

ადრესი: ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლა, ალ. ნათაძეს. (5—6.—1)

ექიმი

ვ. ღამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო ავათმყოფებს დილის 10—11 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642. (წ.)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ყ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, ნერვებისა და შინაგანის ავადმყოფისა.

მ. გ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

ზ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგიან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

საღამოობით:

ა. ნ. შვაკოვსკი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტეპარია) შინაგანისა, ვენერიულ და კანის ავადმყოფობისა.

ზ. ა. თარხანოვი. 7—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი „კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памят. Ворон- (წლ.

ტფილისის კერძო სამკურნალო

გედევანიშვილისა

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21, ავჭალის ქუჩის დასაწყისში.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ი. ჯიჯინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

ნ. ტ. მულიძე—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.

ვ. დ. ღამბაშიძე—შინაგანი: 9—10.

ზ. ზ. მაღალაშვილი—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11ს.

კამოევი.—საშარდეს (ხირურგიული) ავადმყოფთათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11—მდის.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათ.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებითა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ა. ზ. ბარხუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1 საათ.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—სამშაბათობით და პარასკევობით 1—2 ს., კვირაობით 10—11 ს.

მრ. ვ. სოზბოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

ზ. მ. ამბარდანოვი—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—2 ს.

საღამოთი:

ა. ზ. მაღალაშვილი—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

მასაჟი და საექიმო გიმნასტიკა: ორშაბათობით ოთხშაბათობით და პარასკეობით 6—8 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით, კტრაოები 3 მან. 5 მანეთამდე. (წ.)

ტფილისი

◆ 6 დეკემბერს ტფილისის საეპარქიო დედათა სასწავლებლის გამგეობამ მოსწავლეთ გაუმართა სალიტერატურო და სამუსიკო საღამო.

◆ 6 დეკემბერს ამიერ კავკასიის რკინის გზის სახელოსნოებთან იაფ-ფასიანი სასადილო უნდა გაემართნათ ხელოსანთათვის, მაგრამ სასადილოს დაარსება გადაიდო სხვა დროისთვის სადგომის მოუწყობლობისა გამო. სასადილოში სადილი 15 კაპ. ეღირება.

◆ მოკლე ხანში იქმნება კრება ცეცხლისაგან დამზღვევ ქალაქის საურთიერთო საზოგადოების წევრთა; კრების განზრახვაა, იშუამდგომლოს ფინანსთა სამინისტროს წინაშე, რომ მან ნება დართოს, საზოგადოებამ შენობათა გარდა, ქონება და საქონელიც მიიღოს დასაზღვევად.

◆ კავკასიის მთავარ-მართებელი თ. გოლიცინი 8 დეკემბერს მისულა პეტერბურგს.

◆ 7 დეკემბერს გაიხსნა გზა ბორჯომსა და ხაშურს შუა, დიდის თოვლით შეკრული.

◆ შეიკრა გზა კობსა და გუდაურს შუა.

◆ ტფილ. საკრედ. საზოგადოების მეორე რიგის მესხებელთ აირჩიეს თვის რწმუნებულებად 8 დეკემბერს 24 კაცი კიდევ. მათ შორის ად. ფირალაშვილი, ი. სულხანიშვილი, თ. ზაქ. სადამონ-ერისთავი და ვას. თუმანიშვილი.

◆ სურამის საზოგადოებამ ითხოვა, სადაც ჯერ არს, რომ ეს დაბა „პოსადად“ იქმნას გადაქცეული და მიენიჭოს შემოკლებული თვით-მმართველობა. სოფლის დებულება, რომელიც ახლა იქ ჰმოქმედობს, სრულიად ვერ უძლევს იმ ათასგვარ საჭიროებას, რომელიც ამ ჟამად სურამსა აქვსო. საზოგადოებამვე მიჰმართა ტფილისის სააღგილ-მამულო ბანკს, რომ იქაურს მამულზედაც იმ წესით მისცეს სესხი, როგორც სხვა ქალაქებშიო. სურამის ცხოვრება გაფართოვდა, გართულდა, მეაგარაკეთა მოთხოვნილებამ იმატა და ყოველ ამის დაკმაყოფილება უკრედიტოდ შეუძლებელიაო.

◆ როგორც ქალაქის სააუქციონო დარბაზის გამგის მოხსენებიდგან სჩანს, ამ წლის დამდეგიდგან პირველ დეკემბრამდე სააუქციონო საწყობში ყოფილა 42,246 მან. და 46 კაპ. ღირებული ნივთები; 9 დეკემბრისთვის ამავე საწყობში ყოფილა 43,600 მან. ღირებული ნივთეულობა.

◆ ქალაქის სასანიტარო საექიმო განყოფილებამ დიდი წყალობა მოიღო ქალაქში მცხოვრებ ღარიბებზედ და დაავალა ქალაქის ექიმებს, რიგრიგათ დაეარნათ და დახმარება აღმოეჩინათ ავადმყოფ ღარიბთა და უმწეოთათვის. ქალაქის საექიმო საბჭომ, რასაკვირველია, ექიმების სასიარულოდ ეტლის ფული თითონ იკისრა და ეს ხარჯი ქალაქის ხარჯთ-აღრიცხვაში ისე მტკიცედ ჩასწერა, რომ ვერც ცულით და ვერც დანით ვერ მოშლით. ექიმები დღეს აქამომდე პირნათლად ასრულებენ თავის მოკალეობას და ქალაქის საექიმო საბჭო უფრო პირნათლად უნაღდებს ეტლზედ დახარჯულ ფულს ამაზედ ქალაქი ასე ჰფიქრობს: ხარჯი ბევრი გვაქვს და ამიტომ ორასის მაგივრად 50 ფარანი ან 60 დავდგითო. თუკი ქალაქი, როცა გაუჭირდება რისთვისმე ფული, ისე კოხტად დაადგენს ხოლმე: ეს გადამეტებული ხარჯი შეტანილ იქმნას მომავალ წლის ხარჯთ-აღრიცხვაშიო, განა იმ 20 ან 60 ფარანზედ ისეთი რა ხარჯი უნდა მოუვიდეს ქალაქს, რომ ის სასტიკი ბრძანება გასცა, ღღეის იქით ფარნებს ნუ აანთებთო. გამოდის, რომ ქალაქის განათების აგენტის გაჭირება უფრო ძვირად ულირს გამგეობას, ვიდრე მცხოვრებლებისა, თორემ მაშ, რითი აიხსნება, ის რომ, ამ აგენტის ამას წინად მირთმეული თხოვნა გამგეობამ შეიწყნარა და ასი თუმანი, თუ არა ვსცდებით, მომავალ წლის ფასში გაინაღდა?!.

◆ იმის მაგივრათ, რომ ღამე წყვდიადით მოცულ ქალაქის ქუჩებს რამე ეშველოს და სინათლე მიემატოს, ქალაქის გამგეობას დაუდგენია, ზოგიერთ სახლის წინ ფარნებს ნუღარ აანთებთ, რადგანაც ამ სახლის პატრონებს ფარნის განათების ხვედრი ფული არ შეუტანიათო; საქმე ის არის,

რომ ზოგიერთი სახლის პატრონი ითხოვს ხოლმე ქალაქისაგან ჩემს სახლის წინ ფარანი დადგით და განათების ხარჯს მე ვიკისრებო; აი, სწორედ ამ სახლის პატრონების დასჯა უნდათ, ვითომ, ქალაქის ქუჩების განათების მოიჯარადრესაც და გამგეობასაც; ამას წინად ქალაქმა განათების მოიჯარადრეს, როგორც გაზეთში მოხსენებული გვქონდა, შემწეობაზედ უარი განუცხადა გამგეობამ და ეს ვაჟბატონი ეხლა იმის გამოკვლევას შესდგომია, თუ ვის არ შემოუტანია ფულიო; ამ ფარნების მოსპობით ნეტა ვის უფრო დააკლდება, სახლის პატრონებს, თუ ქუჩაში მოსიარულე ხალხს? ვსთქვათ, სახლის პატრონები მოვალენი არიან ფულის გარდახდისა, ქუჩის განათების მოვალე ვინა არის? რა უყო ქალაქმა ის თითქმის ორასამდე ფარანი, რომელიც უნდა დაედგა წლის განმავლობაში ქუჩების გასანათებლად?

—

ქალაქის საბჭოს ხმოსანთა კრება. ორშაბათს, 9 დეკემბერს, ქალაქის ხმოსანთა კრებაზე, დაესწრო 73 კაცი; კრებას, როგორც საქმეების სიიდგან სჩანდა, უნდა განეხილა მომავალ 1903 წლის ხარჯთ-აღრიცხვა; თავმჯდომარემ აუწყა ხმოსანთ, რადგანაც ამ ჟამად მომავალ წლის ხარჯთ-აღრიცხვა დანამდვილებით არ არის შემუშავებული, ამიტომ, თუ საბჭო მოისურვებს, მომავალ წლისათვის ვიხელმძღვანელოთ ამ 1902 წლის ხარჯთ აღრიცხვითაო. რამდენიმე ხმოსანი შეეკითხა თავმჯდომარეს, დაესახელებინა მიზეზი მომავალ 1903 წლის ხარჯთ-აღრიცხვის შედგენის დაგვიანებისა. თავმჯდომარემ, რასაკვირველია, როგორც ყოველთვის, ბრალი სხვას შემოახვია თავზედ და აუწყა, რომ ამ ანგარიშის დაგვიანების მიზეზი „არ ახალია ძველიაო“— ქალაქის ზოგიერთ დაწესებულებამ არ წარმოგვიდგინა თავისი ანგარიში და უამისოდ-კი ანგარიშში ვარაუდის გაწევა ძნელი იყოვო. გაისმის ხმა ზოგიერთ ხმოსნისა ქალაქის გამგეობის მიმართ: გამგეობას კარგად მოეხსენება, რომ ყოველ წლიური ანგარიში უეჭველად ნოემბრისთვის უნდა მზად იყოს, მაშასადამე, რატომ ღონისძიება არა მიიღო-რა და არ მოსთხოვა თავის ხელ-ქვეითთა დაწესებულებათა ანგარიშიო წარმოსადგენად. თავმჯდომარემ ვითომ ერთი გასამართლებელი საბუთიც წამოაყენა: სტამბამ ვერ მოასწრო დაბეჭდვაო, მაგრამ დაუცხრომელ ბაბოვსა და ხუდადოვს ამისთანა საბუთით როგორ შეიოკებდა; მათ მოკლედ და კოხტად უპასუხეს: თუ ერთი სტამბა არ ჰბეჭდავს, გავგზავნიდი მეორეში... მეათეში. ხუდადოვმა მოითხოვა, ამ საღამოსვე ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა, რადგანაც წარსულის წლის ანგარიშით ხელმძღვანელობა შეუძლებელიაო, წელს ჩვენ გვაქვს იმისთანა საქმეები, რომელიც შარშან, შარშანწინ დავიწყეთ და უფულობა ხელს გვიშლიდა მათთვის სახსარი მიგვეცა; დღეის აქამომდე ეს საქმეები მოჩანჩალებს, ძალით ვაცოცხლებთ, ისიც იმიტომ, რომ რაკი ამოვიჩერით გულში მათი განხორციელება, გაუქმებისა ჩვენვე გვრცხვენოდა; თუნდა აიღეთ ქუჩებში ხეების ჩაყრა. თუ ეს საქმე დღეს მიღოღიალობს, ეს სულ იმის წყალობით, რომ საკმარისი კრედიტი არ გვქონდა წარსულ წელსა; ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია მომავალ წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და არა მის საფინანსო კომისიაში გარდაცემა, როგორც ამბობენ ზოგიერთი ხმოსნები; ვისაც უღირს რამედ ქალაქის ქუჩების ხეებით გამშვენება, ის დაეთანხმება ამ აზრს და გთხოვთ კიდეც ეს ხარჯის მუხლები აღიშნოთ 1903 წლის ხარჯთ-აღრიცხვაშიო.

მაგრამ ხუდადოვის ლაპარაკი ისე ჩაიღუპა, როგორც ზღვაში წვეთი. საბჭომ დაადგინა: გარდაეცეს ხარჯთ-აღრიცხვა ქალაქის საფინანსო კომისიას განსახილველადაო.

გამგეობამ მოახსენა კრებას ვერის ხიდის შემოსავლის საჯაროდ ვაჭრობით გაცემის შედეგი; საბჭომ დაადგინ დამტკიცდეს ეს ვაჭრობა ბ-ნ ახნაზაროვზედ, რომელიც წელიწადში 20505 მანეთს იძლევა იჯარასაო, თუმცა-კი უნდა ვსთქვათ, რომ ამ საგანმაც ბევრი ლაპარაკი გამოიწვია; საქმე ის არის, რომ ბ-ნმა იოსაროვმა ამ ხიდის იჯარაში აძლია 21,000 მანეთი, საუბედუროდ, მის განცხადებას დაბეჭდილი პაკეტით დაეგვიანა, თუმცა-კი, როგორც აღმოჩნდა, მას უკვე ჰქონოდა წარდგენილი ასი თუმანი წინად.

აი, სწორედ ამ გარემოებამ მისცა საბაბი იმდენ აურ-ზაურისა, რომელიც ამ საგანმა გამოიწვია. ზოგიერთი ხმოსანი იმ აზრისა იყო, რომ ხიდი მიეცათ იჯარით იმისთვის, ვინც 21,000 მან. გვაძლიაო, რადგანაც სამის წლის იჯარა ქალაქს 1500 მ. შეჰმატებსო; ზოგი ამტკიცებდა, დაინიშნოს ხელმეორედ საჯარო ვაჭრობაო, მაგრამ, ეს ბაასი, როგორც ზემოდ მოგახსენეთ, იმით დაგვირგვინდა, რომ ვაჭრობა ახნაზაროვზედ დაამტკიცეს.

ქალაქის გამგეობამ მოახსენა საბჭოს შიოევის ქარვასლის იჯარით გაცემის შედეგი: გამოირკვა, რომ ამ ქარვასლის ფასი დაეცა და იმას აღარ იძლევიან, რა ფასშიაც წინათ იყო გაცემულიო; ზოგიერთი წევრი იმასაც-კი ამბობს, რომ თუ ამ სახლებს საროსკიპოთ გავცემთ, მაშინ კარგ ფასსაც მოგვცემენო; მსურველიც ბევრი იქნებაო; იმასაც-კი ამტკიცებდნენ რომ ამ ადგილს მხოლოდ საროსკიპო იხეირებს და სხვა არაფერიო. ბევრი იმასაც ამბობდა ჩვენ, არა ვიცით-რა, რა ალაგია, რა სახლია, ან რისთვის არის გამოსადეგი, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, თურმე არც ისე ყოფილა საქმე; ბევრს უნახავს ეს შენობა და თვით ბ-ნ ლისიციანცსაც-კი ამ დღეებში დაეთვალიერებინა; მაგრამ ლისიციანცმა განაცხადა, ჩემმა თვალებმა რაც იქ უბინძურობა ნახა, ყველა იმის აქ დასახელება ძნელიაო. ყველა ამის მნახველი არამც თუ იჯარით აიღებს, არამედ ახლო გავლასაც-ქი არ მოისურვებსო; ამაზედ ბ-ნმა სულხანოვმა ქალაქის გამგეობას დიდი საყვედური უთხრა: ნება მიბოძეთ ქალაქის გამგეობის ასეთის მიუყაითობის წინაშე ჩემი განცვიფრება გამოვაცხადოვო, რადგანაც, ჯამაგირების მომატების შემდეგ, მე სხვა აღარა დამრჩენიაო. ქალაქსა ჰყავს სანიტართა კომისია, ექიმები, პოლიციელები, რომელთა პირდაპირი მოვალეობა სისუფთავის ყურის გდება არისო; საქმე-კი სულ სხვას გვიმტკიცებს, ნება მიბოძეთ ვიკითხო, რას აკეთებს ეს ამოდენა, აუარებელი სპა, ან ერთხელ უნახავთ და დაუძრავთ კრინტი ამ სახლის უწმინდურად შენახვის თაობაზედ? განა, როგორც ლისიციანცი ბრძანებს, ვინ მოინდომებს ამისთანა სახლის იჯარით აღებას. ჩემის აზრით-კი, კარგად რომ გასუფთავდეს და შეკეთდეს სახლი, იქნება მაშინ მსურველნიც ბევრნი გამოჩნდნენო; მაინცა და მაინც ამ ქარვასლის იჯარა დამტკიცდეს და გამგეობამ იქონიოს მხედველობაში, რომ შენობა უნდა შეკეთდეს და გასუფთავდესო.

საბჭოს მოხსენდა ქალაქის სასწორების იჯარით გაცემის შედეგი; აღმოჩნდა, რომ მოიჯარადრენი არამც თუ აღარ იძლევიან წინა წლების ფასსა, არამედ ამ სასწვრების იჯარა მუდამ წელს კლებულობს; უწინ, ვინც 600 მან. და 1000 მან. იძლეოდნენ, დღეს 200 მან. და 150 მ. მეტს არ იძლევიანო.

ბ-ნმა ა. მ. არღუთინსკიმ ეს მოვლენა თვით ტფილისის ეკონომიურ დაცემით ახსნა: 1) უწინ თუ აქედგან გაჰქონდათ ხორბლეულობა, ახლა გამრავლდა რკინის გზები და მზათ აწონილი ხორბალიც და ფქვილიც მოდის ტფილისშიო; 2) ყოველ მხრიდგან, როგორათაც ქუთაისი და გორის მაზრა, მოჰქონდათ ხილეულობა და ესე ყოველივე ქალაქის სასწვრებზედ იწონებოდაო, ახლა-კი რკინის გზით მოაქვთ, მაშასადამე, სავაჭრო უკვე აწონილიაო; ზოგიერთი ხმოსანი ამასაც არა სჯერდებოდა და იკითხეს, რად არ მიაქცია ამ ფასების დაცემას გამგეობამ ყურადღებაო, ხომ შეთქმულობა არ არის მოიჯარადრეთა შორისო; თაიროვმა ისიც-კი განაცხადა, რომ ამ რამდენისამე წლის წინად მეც გახლდით სასწვრების ზედამხედველ კომისიის წევრად და ერთი არა სასურველი მოვლენა აღმოვაჩინეთო: სხვა-და-სხვა ქარვასლის ვაჭრებს გაემართათ თავიანთთვის სასწორი და სოფლიდგან მოტანილს საქონელს თურმე იქ სწონავდნენ; გამოიკვლიოს გამგეობამ, იქნება ახლაც ამისთანა ხერხს მიჰმართეს ვაჭრებმაო. თაიროვი იმასაც-კი თხოულობდა, რომ ეხლანდელი სასწვრები აღარ ვარგანან, ამ ჟამად რუსეთის და ევროპის ქალაქებში გაუმჯობესებულ სისტემის სასწორები შემოიღეს და კარგს ინებებს გამგეობა, რომ იმანაც ტფილისის სასწორების გაუმჯობესებისათვის ღონის-ძიება მიიღოსო. რაც შეეხება იმას, რომ ეს სასწორები განაგოს თვით ქალაქმა და ამისთვის დაიქირაოს სასწორის ზედამხედველები, მე ამას არ თანავუგრძნობ. არა მგონია, ქალაქმა რაიმე ისარგებლოს ამ რიგათ და მეორეც ესა, საჭიროც არ არის, მომეტებულ ზედამხედველების დაჭერა; ერთს დროს ქალაქი თვით განაგებდა სასწორებს და ზედამხედველობას ასრულებდნენ ქალაქის ეგრედ წოდებულნი „ბაზარნიკები“ო.

დიდის ბაასის შემდეგ საბჭომ გარდასწყვიტა ექვსის თვის განმავლობაში ქალაქმა განაგოს სასწვრები და დაწვრილებით გამოიკვლიოს, რა დაუჯდება, ან რა სარგებლობას მოუტანს ქალაქს სასწვრებიო. ქალაქის გამგეობამვე მიიღოს ღონის-ძიებანი სასწვრების გასაუმჯობესებლად. ექვსის თვის შემდეგ ქალაქმა წარმოგვიდგინოს ვრცელი მოხსენებაო.

(დასასრული იქნება)

—

ჩვენებური ამბები

ჭიათურა. 21 ნოემბრიდგან შავი-ქვის საბჭოს მიერ აშენებულმა აბანომ მოქმედება დაიწყო. ყოველ დღე აუარებელი ხალხი ეხვევა სხვა-და-სხვა სარეცხებით დატვირთულნი. შაურად ტანსაც იბანენ და სარეცხიც ერეცხებათ.

აბანოს აქვს საყინულე, რაც ჭიათურისათვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს, მეტადრე აქაურ მუშათა ქსენონისათვის, სადაც გასულ წლებში უყინულოდ მრავალი ტვინის ანთებიანი ავადმყოფნი გამოსალმებია წუთი-სოფელს. ყინულის შოვნა ქუთაისს და ხაშურს აქეთ არ ხერხდებოდა და ახლა-კი აქვე გვაქვს.

აბანოს ელექტრონის განყოფილებაც აქვს. რკინის გზის გამგეობა ევაჭრება ჩვენ საბჭოს, რომ ელექტრონის ძალა ამ უკანასკნელსაც გაუზიაროს და ამისთვის 15—20 ათას მანეთს იძლევა დასახელებული გამგეობა. წყლის მილები იმნაირადაა მოწყობილი, რომ თუ ვინმე მოინდომებს მილით წყლის გაყვანას, ერთობ ადვილი და იაფი მოსახერხებელი იქნება. აბანო, გარდა ორშაბათისა, ყოველ დღე ღიაა დილის შვიდ საათიდგან ღამის თერთმეტ საათამდის. საბანაო ფასებია შაური, აბაზი და ცალკე ოთახი—მანეთი.

ხუთს ამ თვისას, ღამით ბოროტ-გამზრახველმა თოფი ესროლა ბ. დ—ას, თავის ბინაზედ მწოლიარეს. ბერდანკის ტყვიას გაევლო კედელი და მწოლიარეს ქვეშაგებში ჩავარდნოდა. მიზეზი ბოროტ-მოქმედებისა არავინ იცის.

ამავე თვის ექვს, დილით ადრიანად, ცხენი წამოუყვანია წყლის დასალევინებლად 17—18 წლის ყმაწვილს ვაჩეჩილაძეს და შუა დღისას იგი დამხვრჩალი უნახავთ.

გ. აპოსელი.

—

ქვალონი (სამეგრელო, ზუგდიდის მაზრა). სამეგრელო, შედარებით საქართველოს სხვა კუთხეებთან, სწავლა-განათლებით ჩამორჩენილია, განსაკუთრებით-კი ქვალონი, რომელიც წარმოადგენს ნამდვილს ბნელეთს

ეხლა ისეთი ხანა დადგა, რომ ყველამ შეიგნო სწავლის მნიშვნელობა, ყველა სცდილობს დაიახლოვოს და დაუახლოვდეს ცოდნას.

ქვალონლებს-კი ჯერ ვერ შეუგნიათ, რა არის ცოდნა და რა სარგებლობის მოტანა შეუძლიან მას, როგორც თვითოეულის კაცისათვის, ისრე მთელის ხალხის ცხოვრებისათვის!

ქვალონი განიყოფება ორ სამრევლოდ. ზედა-ქვალონისა და ქვედა-ქვალონისად. ორთავეში რვაასამდე კომლი მცხოვრებია. ზედა-ქვალონში არსებობდა სამრევლო სკოლა, რომელიც ამ სამი წლის წინად, რაღაც მანქანებით, გაჰქრა. სად, ან რა მიზეზით, არავინ უწყის!.. ახლა მთელს ქვალონში არის მხოლოდ ერთი ორ-კლასიანი სამინისტრო სასწავლებელი.

ყველაზე უფრო სამწუხარო ის არის, რომ აქაური გზები ყოვლად უვარგისია. ცოტა წვიმა წამოვა თუ არა, სახლის ზღუდეს ფეხს ვეღარ გადასცილებ, თუ არ გსურს სადმე ჩაიხრჩვე. გზა ჯოჯოხეთია და უხიდობაც საქმეს გვიჭირებს.

შალვა.

—

აბაშა (სამეგრელო). აბაშას ბევრი სოფლები უდევს გარშემო. მთელ აბაშის უბანს ერთად-ერთი ექიმი ჰყავს და ორი ფერშალი. აბაშიდგან თითქმის 15—17 ვერსის მანძილზე მცხოვრები იძულებულია ექიმი აბაშიდგან წაიყვანოს, ეტლი უქირაოს, რაც იაფად არ უჯდება. ხშირად ასეც მოხდება ხოლმე რომ უკვე წაყვანილს ექიმს მეორე ავადმყოფი იძულებული უცდის, სანამ ის დაბრუნდება. და განა შეგიძლია ჩამოსთვალო ყველა ის უხერხულობა, რომელიც გამოწვეულია ექიმთა რიცხვის სიმცირით?! იმედია, სათანადო ყურადღებას მოგვაპყრობენ და ექიმობის საქმეს გაგვიუკეთესებენ.

ა. ლ... კა.

—

ს. აბასთუმანი (ზუგდიდის მაზრა). აბასთუმანი 7 ვერსის მანძილზე მდებარეობს ზუგდიდიდან. ეს სოფელი ეკუთნოდა თავ. მენგრელსკის და მან ეს სოფელი, ერთის წლის წინად, ვიღაც გერმანელ მდიდარს მიჰყიდა. გერმანელი დაბრუნდა, სოფლის შეძენის შემდეგ, სამშობლოში და, რამდენიმე ხნის შემდეგ, 50-მდე მოსახლე გერმანელი გლეხები ჩამოგზავნა. ეს გერმანელები, ერთის წლის წინად, დასახლდნენ ამ სოფელში და თავისებურად მიწის შემუშავებას შეუდგნენ. მოჰყავთ: პური, სიმინდი, კარტოფილი, კომბოსტო და სხ. გააშენეს: მსხალი, ვაშლი, ბალი, ატამი და სხვა. ჰყავთ თავის სამშობლოდგან ჩამოყვანილი ცხენები, ძროხა, ხარები. ძალიან მდიდრულად ცხოვრობენ და უკვირთ, რომ აქაურები ასრე ღარიბნი ვართ.

სოფელში ჩამოდის მოჩუხჩუხე, წმინდა მდინარე ჯუმი, რომელიც მათ ძალიან მოსწონთ და აქაურ წყალს ხმარობენ სასმელად. თავისი ნამუშევარი მიაქვთ ზუგდიდის ბაზარში და იქ ჰყიდიან. დიაღ, ბატონებო, ვიღაც გერმანელი სამეგრელოში მდიდრდება.

ა. ლ—კა.

თელავის მაზრის თავად-აზნაურთა და მემამულეთა კრება.

(წერილი თელავიდგან)

ნოემბრის 30-ს, სადამოს ექვს საათზედ, გაიხსნა კერძო კრება თელავის წინამძღვრის თავ. დიმიტრი ერისტოვის ძის ჩოლოყაშვილის თავმჯდომარეობით. კრებაზედ მოწვეულთ თავად-აზნაურობას და კერძო მემამულეთ წინა დღითვე დაურიგდათ პროგრამმა სამეურნეო საკითხებისა, რომლების განხილვაც ტფილისის გუბერნიაში დაკვალებული აქვს ამისთვის შემდგარს საგუბერნიო კომიტეტს. კრებას დაესწრო 80-ამდე ქუდოსანი და ერთი მანდილოსანი მარიამ ესტატე გახუხაშვილის ასული. ქუდოსანთა შორის უმრავლესობა იყო თავად-აზნაურობა. აქვე იყვნენ: თელავის მამასახლისი ბ-ნი თათუზოვი, მაზრის გამგებელი თავ. ჯანდიერიშვილი *), საუფლისწულო მამულების გამგებელი ბ-ნი კუროედოვი, წინანდლის სანერგე-სადგურის ზედამხედველი ბ-ნი ი. სტაროსელსკი, სამოქალაქო სასწ. ზედამ. ბ-ნი მაჟნიკოვი, ტყეთა უწყების წარმომად. ბ-ნი ცირულნიკოვი, მასწავლებელნი, მოქალაქენი. კრებას არც ერთი მხვნელ-მთესველი გლეხი არ დასწრებია, რაც ძალიან სამწუხაროდ დარჩა ბევრს.

თავმჯდომარე შეეკითხა კრებას, რაგვარი წესრიგით ისურვებდა დასახელებულ პროგრამის საკითხებზედ მსჯელობას. გადაწყვეტილების თანახმად დაყენებული იყო პირველი საკითხი: როგორ შეიძლება გავრცელდეს ხალხში სამეურნეო ცოდნა და რა შემწეობას უნდა მოველოდეთ ამ საქმეში სასოფლო სკოლებისაგან. თავმჯდომარემ აუწყა კრებას სექციის აზრი, რომ ტფილისის გუბერნიაში სამეურნეო ცოდნის გავრცელების საქმეს ეხმარებიან: 1) ტფილისის სააბრეშუმო სადგური, რომელიც მართავს კურსებს სასოფლო სკოლების მასწავლებელთათვის, ჰგზავნის ინსტრუქტორებს ქუთაისისა და სხვა გუბერნიებში; 2) ტფილისის საბოტანიკო ბაღი, სადაც იღებენ სასწავლებლად 15—18 წლის ყმაწვილებს და ასწავლიან მცენარეთა მოვლა-მოშენებას; 3) საქარის სამეურნეო-სადგური, რომელსაც განაგებს ბ-ნი გლ.

---

*) მაზრის უფროსად მყოფი ბ-ნი განსევიჩი სამსახურს დაეთხოვა და „მაზრის გამგებლის“ სახელით თანაშემწე თავ. ი. ჯანდიერიშვილი ასრულებს მაზრის უფროსის თანამდებობას,

ფელეტონი

ალექსანდრე ბატონიშვილი

(ისტორიული ამბავი)

III*)

მთავარ-მართებლის გენ. პაულიჩის სასტიკის განკარგულებით, თუმცა დროებით შეჩერდა აჯანყებული ხალხი, მაგრამ მთავრობის დაყენებულ კაცებისადმი სიძულვილი და მტრობა ქართლ-კახელების გულიდგან მაინც ვერ ამოირეცხა და ვერა. გარეგნობით ხალხში მშვიდობიანობა, წყნარი, მშვიდი ცხოვრება მყარდებოდა, მაგრამ შინაურ საიდუმლო ჯაშუშობას-კი ძრიელ მაგარი ფესვები ჰქონდა გადგმული. სპარსეთიდგან ალექსანდრე ბატონიშვილი აღფრთოვანებით შეჰხაროდა მათს აღელვებას, უქებდა მთავრობის წინააღმდეგობაში გამოჩენილ ვაჟკაცობას, ჭკუას, გაბედულობას და იმედს აძლევდა დახმარებისას. ალექსანდრე ბატონიშვილის აზრის განხორციელებას სპარსეთის გავლენიანი კაცნი და ხალხიც დიდის თანაგრძნობით ეგებებოდნენ. ისინი მუდამ მზად იყვნენ ალექსანდრეს დაჰხმარებოდნენ, რუსეთის მთავრობის ძლიერება ქართლ-კახეთში დაესუსტებინათ და საქართველოში თვითონვე გაბატონებულიყვნენ. ეს შინაური საიდუმლო მიწერ-მოწერა არც გენ. პაულიჩის გამოჰპარვია. მის ყურამდისაც მივიდა ამბავი, რომ კახელები საიდუმლოდ გადადიან სპარსეთში და ალექსანდრე ბატონიშვილს კახეთის მმართველად იწვევენო. ამის შესახებ პაულიჩიმ 18 აპრილს 1812 წელს ფიცხელი მიწერილობა გაუგზავნა თელავის მოურავს თავ. ავალოვს და სწერდა, რომ „რუსეთის მთავრობისადმი უკმაყოფილო კახელებს ვითომც რამდენისამე სოფლიდგან თავიანთი წარმომადგენელი გაეგზავნოთ სპარსეთში და ეთხოვოთ ალექსანდრე ბატონიშვილისათვის კახეთში გადმოსვლა და გამეფება. მადლობაც სწორედ ამას ჰქვიან?! იმ საბრალოებმა არ იციან, რა უგუნურობას სჩადიან. მათის ამ გვარის საქციელის გამო რა აიხრება მთელის ბუნების მშვენიერებით შემკულს მათს ქვეყანას! არ იციან, როგორ დააწიოკებენ მათს ცოლ-შვილს, ოჯახს, ნათესავს, მტერს და მოყვარეს. მე, როგორც მათი კეთილის მსურველი გაუწყებ რა ამ ამბავს, იმედი მაქვს თქვენი, თქვენო ბრწყინვალებავ, როგორც ჩვენის მმართველობის სანდო კაცისა და თქვენის ერის მოსიყვარულესი, რომ ეცდებით და ჩააგონებთ, ამ უგნურ, მათ დამღუპველ, აზრს თავი დაანებონ, თუ ეს ამბავი მართალი გამოდგა. ამ გვარ საქმეში პატიოსნურად მოქმედებას და მართლ-მსაჯულებას დიდი გავლენა აქვს ხალხზედ და მე იმედი მაქვს, მიიღებ რა ამ ჩემს მოწერილობას, სასტიკად დაიჭერ თვალყურს ყველა იმ სოფლის და ქალაქის მცხოვრებთა წასვლა-წამოსვლაზედ და მოძრაობაზედ, რომლებიც შენს სამოურავოს ეკუთვნიან და შენს უფროსობის ქვეშ იმყოფებიან. თქვენ ვალდებულნი ხართ თვალყური ადევნოთ ვინ სად წავა, ან რისთვის მიდის, უთქვენოთ არავინ არ გაჰბედოს სოფელს ან ქალაქს განშორდეს. ჩემამდე მოაღწია ხმებმა, რომ 15 კაცი, შენს სამოურავოში მცხოვრებნი, გადასულან ალექსანდრე ბატონიშვილთან. თუ ეს მართალია, ფიცხლავ შეიტყე, ვინ არიან ისინი, ან რისთვის წასულან. თუ ვინმე გაჰბედავს და დააპირებს კიდევ წასვლას—დაიჭირე და სასტიკად დასაჯე. ერთის სიტყვით, რაც-კი რამ მოჰხდეს შენს სამოურავოში, მაშინვე გვაცნობე. თორემ, თუ რამ აღმოჩნდა ისეთი, რაც არ გვაცნობეთ და თქვენს სამოურავოში-კი მოჰხდა ის გარემოება—სასტიკ პასუხის გებაში მიეცემით, როგორც თქვენ, ისე ყველა თქვენი უნცროსი მოურავიც *)“.

ამ გვარად მთავრობა ფიცხელ ყურადღებას აქცევდა აჯანყების საქმეს და სცდილობდა, რომ სპარსელების გავლენა შეესუსტებინა, რადგან კახელები უიმათოდ სრულებით საშიშონი არ იყვნენ. მაგრამ არც სპარსელები ისხდნენ გულ-ხელ დაკრეფილნი. ისინიც დიდის ყურადღებით ადევნებდნენ თვალ-ყურს კახეთის ბედ იღბალს და სცდილობდნენ თავისი თანაგრძნობა თვალ-საჩინოდ დაენახვებინათ. განსაკუთრებული თანაგრძნობა კახელებისადმი აბბას-მირზამ გამოიჩინა. მან თანაგრძნობით სავსე წერილი მოსწერა კახეთის თავად-აზნაურობას და კახელების აღელვებული გული მოინადირა მით, რომ დიდად შეაქო მათი ვაჟკაცობა, სიმამაცე და გამბედაობა. ამ გვარის თანაგრძნობით გატაცებული კახელები კიდევ უფრო აღელდნენ და აიშალნენ. „მე დიდათ მესიამოვნა, როცა შევიტყე თქვენი მამაცობა და ვაჟკაცური ბრძოლა“,— სწერდა აბბას-მირზა კახელებს: —„ალექსანდრე ბატონიშვილმა მომახსენა, რომ თქვენ გსურთ ჩვენი მფარველობა და დახმარებას ელით ჩვენგან. ეს თქვენი სურვილი და თხოვნა დაამტკიცეს თქვენ მიერ გამოგზავნილმა კაცებმა, ავეტიქ-ბეგმა და გიორგიმაც, რომლებიც დღეს მოვიდნენ თავრიზში. ჩვენ მზადა ვართ, თქვენის ვაჟკაცობით გახარებულნი, სიამოვნებით მოგეშველოთ და დაგეხმაროთ. ველით მხოლოდ ზამთრის გასვლას... ზაფხული კარზედ გვადგია... ჩვენი ჯარი მზად არის... წამოვალთ და თან წამოვიღებთ ისეთ ზარბაზნებს, რომლებსაც მთელის მთების გადაბრუნება შეუძლიან. სანამ ჩვენ დავიძვროდეთ, ალექსანდრე ბატონიშვილს და ერევნის სარდალს ნაბრძანები აქვს ჩვენგან, გამოვიდნენ და ჯარიც გამოიყვანონ. ჩვენის ჯარის წინააღმდეგ, ღვთის მადლით, არავის არ შეუძლიან იბრძოლოს. ჩვენ მთელს საქართველოს და მის დედა-ქალაქ ტფილისს გავანთავისუფლებთ მტრებისაგან და ყველგან მშვიდობიანობასა და წყნარ, ტკბილს ცხოვრებას დავამყარებთ. თქვენ, როგორც ღვაწლ-დადებულნი, მიიღებთ ჩვენგან დიდს მამულს და ავლა-დიდებას. ჩვენ მუდამ დარწმუნებული ვიყავით და გვჯეროდა თქვენი ერთგულება და არც ახლა გვაქვს ეჭვი, რომ ჩვენს ღალატში არ ჩადგებით. იმედი გვაქვს, შემოვდგამთ თუ არა ფეხს საქართველოში, მაშინვე ყველა თქვენთაგანი ჩვენს მფარველობის ქვეშ შემოსვლას მოისურვებს და მიიღებს კიდეც წყალობასაცა და ჰპოვებს მფარველობასაცა. ამდენს ხანს თუ ვაყოვნებდით საქართველოში მოსვლას, ამის მიზეზი ის იყო, რომ, როგორც ქვეითი ჯარი, ისე ცხენოსანი კარგად გაგვეწურთნა, გაგვევარჯიშებინა, ერთის შეტაკებით მტრები მთლად გაგვეჟლიტა. ახლა ვმადლობ ღმერთს, რომ ჯარი მზადა მყავს; ჩემ ჯარის-კაცებს, როგორც მშიერ ლომებს, ისე სწყურიანთ ომი. ერთის თქმის მეტი არ უნდათ, ისე აიკლებენ მთელს ქვეყანას. საქართველო ჩვენს მფარველობის ქვეშ იქმნება და მერე თქვენ, როგორც გინდათ, ისე იცხოვრეთ და ისარგებლეთ თქვენის ქვეყნის აუარებელ სიმდიდრით. ასე და ამ გვარად, იყავით დღეის შემდეგ მზად. აცნობეთ ყველა თქვენიანს და თანამგრძნობელს ჩვენი მოსვლა და ჩვენც დღეს თუ ხვალ საქართველოში გავჩნდებით. თუ ჩვენს მოსვლამდე რაიმე დაგჭირდებათ, გვაცნობეთ და დარწმუნებული იყავით, რომ თქვენი თხოვნა უსათუოდ დაკმაყოფილებული იქნება“ *).

თეოფილე ხუსკივაძე.

(შემდეგი იქნება)

---

*) იხ. „ივერია“ № 264.

*) იქვე, გვერდი 86.

*) იქვე, გვერდი 87.

სტაროსელსკი, რომელმაც მოკლე ხანში დიდი ცვლილება მოახდინა სავენახე მეურნეობის შესახებ მთელს გუბერნიაში; 4) წინამძღვრიანთ კარის სკოლა, რომელთანაც არის სამეურნეო განყოფილება დაარსებული, სადაც მრავალნი სწავლობენ მეურნეობას; 5) საუფლისწულო მამულების ესრედ წოდებული „პრაქტიკანტები", რომლებიც სწავლობენ მევენახეობას და უბრუნდებიან მამულს; 6) ჰიბახაურის სანერგე-სადგური, სადაც ამერიკულ ვაზზედ ჩვენი ვაზის დამყნობას სცდიან; 7) ახალციხის სკოლა, რომელთანაც სამეურნეო ნაწილია დაარსებული; 8) სტეხნისის სკოლა სამეურნეო განყოფილებით; 9) საფილოქსერო დასები, რომლებმაც გაავრცელეს წამლობა კახეთში; 10) აგაიანის სანერგე-სადგური გორის მაზრაში.

ზ. ა. გოგნიევი. დასახელებულ დაწესებულებათა შორის მარტო ერთზედ ითქმის, რომ იგი ავრცელებს სამეურნეო ცოდნას. ეს არის საქარის სანამყენე სადგური. მართალია, იმას მიუძღვის დიდი ღვაწლი ამერიკულ ვაზზედ დამყნობის გავრცელებაში, თუმცა ამავე საქმეს იქავე სხვა კერძო კაცთა სანამყენე სადგურები იმაზედ ნაკლებ არ მოღვაწეობენ. რაც შეეხება სხვა დაწესებულებათა, იმათზედ შეიძლება ითქვას, რომ მათი მოღვაწეობა დასახუთებულ ანგარიშების შედგენაში გამოიხატება, რომლებსაც თავ-თავის დროზედ შესაბამ მთავრობას ურდგენენ. ამ დაწესებულებათა შორის ყველაზედ მეტი ფული დაუჯდა მთავრობას საფილოქსერო დასები. რა გააკეთეს ამათ კახეთში? თითქმის არაფერი! შესახებ სამეურნეო ცოდნის გავრცელებაში წამლობასაც-კი ვერ შეაჩვიეს ხალხი. ხალხმა წამლობა ისწავლა საუფლისწულო მამულებში და უფრო-კი კერძო მემამულეთაგან.

რასაკვირველია, ყველანი დამეთანხმებიან, რომ არც სტეხნისის სკოლას და არც სხვა სასოფლო სკოლებთან დაარსებულ სამეურნეო განყოფილებებს არ მოუტანიათ სარგებლობა სამეურნეო ცოდნათა გავრცელებაში. სასოფლო სკოლის მასწავლებელს, ისედაც ნივთიერად შევიწროვებულს, წერა-კითხვის ცოდნის გადაცემაც უძნელდება და კიდევ ათასი სხვა მოთხოვნილებით უფრო უძნელებენ საქმეს.

ამიტომ სხვა საშუალებას მივმართოთ სამეურნეო ცოდნის გავრცელებისათვის. საუკეთესო საშუალებათ უნდა ჩაითვალოს სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებანი, ანუ ამხანაგობანი, როგორებსაც ჩვენ ვხედავთ ევროპაში და თვით რუსეთშიაც—დასავლეთ გუბერნიებში. ამისთანა ამხანაგობანი აქაც დაარსდებიან, თუ რამე შემწეობა ექმნებათ მთავრობისაგან. აქნობამდის თუ არ არის კახეთში სამეურნეო ამხანაგობანი იმ მიზნით, რომ სამეურნეო ცოდნა გაავრცელონ, ამის მიზეზი უსახსრობაა, თუმცა დიდი ხანია საჭიროება შეგნებულია. თუ მთავრობა რამე შემწეობას აღმოუჩენს სამეურნეო საზოგადოებათა დაარსებას და ამ საქმისათვის მოიხმარს იმ ფულს, რომელიც აქნობამდის საფილოქსერო დასებზედ კახეთში იხარჯებოდა, დარწმუნებული ვარ, სამეურნეო ამხანაგობანი ანუ საზოგადოებანი ბევრს სიკეთეს მოუტანენ კახეთს სამეურნეო ცოდნათა გავრცელებით.

თავ. ა. მაყაშვილი. წერა-კითხვის მცოდნენი არა გვყავან. აგერ 30 წელიწადია, რაც არსებობენ სასოფლო სკოლები, ალაზან გაღმა თითქმის ყველა სოფელში სკოლა არის და წერა-კითხვის ცოდნა-კი ვერ გაავრცელეს. მიზეზი პროგრამის უვარგისობაა. ისეთი პროგრამა აქვთ სასოფლო სკოლებში, რომელიც ბავშვებს თუთუუშებივით სიტყვებს ასწავლის და მათ გონებით განვითარებას არაფრით არ ეხება. ამისთანა ცოდნა სკოლის კარებამდისაც არ მისდევთ. ამიტომ არის, რომ მასწავლებლებიც და მოსწავლენიც გაურბიან სკოლას. ყვარლის სკოლამ ამ ცოტა ხანში ხუთი მასწავლებელი გამოიცვალა. მასწავლებელნი პროგრამას გაურბიან, მოსწავლენი მასწავლებელს. ამიტომ უნდა ვითხოვოთ, სოფლის სკოლის პროგრამა შეცვლილ იქმნას. თუ წერა-კითხვა არ გავრცელდა, სამეურნეო ცოდნის გავრცელება არ შეიძლება იმ სახით, როგორც სასურველია. სოფლის სკოლაში დედა-ენას უნდა დაეთმოს უპირატესი ადგილი, რაც ეხლა არ არის და რა მიზეზიდამაც წარმოსდგება უნაყოფობა სკოლებისა.

(შემდეგი იქნება)

ნადიკვრელი.

უცხოეთი

საბერძნეთი. მხცოვანი დელიანისი ისევ დაუბრუნდა სამინისტროს და ეს გარემოება მეტად საგულისხმოა სახელმწიფო მოღვაწეთათვის. დელიანისმა არა ერთხელ აატეხინა საბერძნეთს ომი და ეხლაც, ალბად იმას შეეცდება, რომ განაძლიეროს საბერძნეთის მხედრობა, რომელიც თითქმის სრულიად გაანადგურა უკანასკნელ ომიანობის დროს ოსმალეთმა. ცხადია, საბერძნეთი ჯერ კიდევ დიდხანს ვერ შესძლებს წელში გამართვას, მაგრამ მოსალოდნელია, რომ დელიანისის მმართველობა ისე გულგრილად არ მოეკიდოს მაკედონიის დღევანდელ საქმეებს, როგორც აქამდე ეკიდებოდა საბერძნეთის მთავრობა. ამ მხრივ დელიანისის დაბრუნება, უეჭველია, კიდევ უფრო გაართულებს ბალკანეთის საქმეებს.

რაც შეეხება შინაურ პოლიტიკას, დელიანისი ცნობილია, როგორც ეკონომიის მომხრე. ესეც მეტად საყურადღებოა საბერძნეთისათვის, რადგან მისი ფინანსური მდგომარეობა ვერაა სანატრელ მდგომარეობაში. ამგვარად, დიდი განსხვავება იქნება დელიანისისა და მის წინამოადგილეთა თეოტოკისა და ტრიკუპის მმართველობათა შორის, რადგან ეს უკანასკნელნი კაპიტალისტების წყალობით იყვნენ არჩეულნი და, რასაკვირველია, სამაგიეროდ ხელს უწყობდნენ მათ ანგარებულ მისწრაფებათა, რომელიც პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა სახელმწიფოს ნამდვილს ინტერესებს. განსაკუთრებით ტრიკუპისმა დააავალიანა საბერძნეთი, რადგან ათას სხვა-და-სხვა საქმეს მიჰყო ხელი და გაამრავლა მოხელეთა რიცხვი, რომ მეტი გავლენა მოეპოვებინა.

რამდენ ხანს შერჩება დელიანისი სამინისტროს, ძნელი სათქმელია, რადგან საბერძნეთში საპოლიტიკო მოღვაწეთა არჩევა საერთო ხმის უმეტესობით ხდება; ის მთავრობა, რომელიც ვერ დააკმაყოფილებს თავის ამომრჩეველთა, იძულებულია მალე გადადგეს სამსახურიდგან.

ვენეცუელა. ვენეცუელას პრეზიდენტ კასტროს ასეთი მანიფესტი გამოუცია:

„თავხედ უცხოელთა ცოდვილმა ფეხმა შეჰბღალა ვენეცუელას წმიდა ადგილი. მთელს ისტორიაში უფლებათა ასეთი შელახვა სწორედ უმაგალითოა. ეს ბარბაროსული საქციელია, შებღალვაა საერთაშორისო პრინციპთა. ეს უკეთური საქმეა, რადგან ნაყოფია ღალატისა და ძალმომრეობისა. მაშ, სხვა რა უნდა ვუწოდოთ იმ შეუწყნარებელს მოქმედებას, რომელიც, ამ რამდენისამე საათის წინ, ჩაიდინა ნავთ-სადგურს ლა-გუაირში გერმანიისა და ინგლისის შეერთებულმა ესკადრამ—გაანადგურა ბოღაზში შესაკეთებლად მდგარი სამი უპატრონო გემი ვენეცუელისა?

ჩვენთვის ეს ომი უთანასწოროა, რადგან ორი უდიდესი სახელმწიფო აღიჭურვა ჩვენს წინააღმდეგ და სწორედ იმ დროს, როცა ძლივს-ძლივობით დავაღწიეთ თავი შინაურს განხეთქილებას. მერმე როგორის მუხანათობით მოახდინეს ყოველივე ეს! ყოვლად შეუძლებელია, უყურადღებოდ დავტოვოთ ასეთი კადნიერება ზემოხსენებულ სახელმწიფოთა, ვინაიდგან მათი საქციელი ყოველ კანონიერების გარეშეა.

სიმართლე ჩვენს მხარესაა.

ყოვლად—მოწყალე, რომელიც მეოხ ეყო ბელივარსა და მის გმირთა, რომელთაც დიდის ღვაწლითა და მრავალის მსხვერპლით მოიპოვეს თავისუფლება და დამოუკიდებლობა, კიდევ მოგვხედავს ჟამსა გაჭირვებისასა. იგი მოგვმადლებს სიმხნე-სიმამაცეს და მოგვცემს ძალსა და ღონეს, რათა უზრუნველ ვყოთ დამოუკიდებლობა ჩვენის ერისა.

თეატრი და ხელოვნება

ქართული თეატრი

ქუთაისი. ქუთაისის დრამატიულ დასისაგან, რომელსაც მოთავედ ჰყავს ჩვენი ნიჭიერი არტისტი გ. მესხიშვილი, პარასკევს 6 დეკემბერს იყო წარმოდგენილი 5 მოქმედ. დრამა: „მონასტრის ზღუდეთა შორის", თარგმ. ა. ცაგარლისა. მონაწილეობას იღებდნენ ორი ჩვენის სცენის დამამშვენებელი არტისტი-ქალი, **ჩხეიძის ასული ნინო და მესხის ასული ეფემია.** ეფემია ასრულებდა და—ტერეზას როლს, ხოლო ნინო გუსტავ ემმოდის ასულის ადელინასას. როგორც ყოველთვის, ამ საღამოსაც საუცხოვონი იყვნენ ეს ორი არტისტი ქალი და დიდი ესტეტიური სიამოვნება აგრძნობინეს დამსწრე საზოგადოებას თავისის დაგვირგვინებულის და მოხდენილის თამაშობით. სამაგიეროდ, საზოგადოებამაც დაუსრულებელი ტაშის ცემაზედ გამოსვლით დაღალა თავისი საყვარელი არტისტი ქალები.

არა უშავდა-რა ქ-ნთ ივანიძეს (ჟუზეპა) და გივიშვილს (მარიამი), თუმცა ხანდახან სიტყვები ეშლებოდათ, მაგრამ მაინც საკმაოდ ნათლად დახატეს მონასტერში მყოფთა შორის „ღვთის სახელით" ერთმანერთში დაუსრულებელი მტრობა-შფოთი და ჩუმად, ქვეშ-ქვეშ საფლავის თხრა. უგულოდ, ცალიერის ხელის აღპყრობით და ხშირის პირჯვრის წერით, ფარისევლური ღვთის ვედრება, სახეზედ ღვთაებრივის მორჩილების და სასოებიანი მშვიდი მეტყველება, მაგრამ იმავე დროს გული სავსე საწამლავითა და ჯოჯოხეთით თავის თანა-მოსამსახურეთა გასანადგურებლად და დასამარხავად.

არა უშავდა-რა მღივანის ასულსაც. ხოლო ბ-ნ თუთბერიძისათვის ისეთი როლი მიეცათ (გუსტავ-ემმონდი) რომლის დარევის ძალ-ღონე არ შესწევს და ამიტომაც ხელს უშლიდა კარგს მოთამაშეებსაც.

სოსო.

ნარკვევი

ბ-ნი ჰეისნერი, ტომსკის უნივერსიტეტის პროფესორი, საზღვარ გარედ იყო წასული იქაურ უნივერსიტეტის წეს-წყობილების შესასწავლად. დაბრუნებისას წაუკითხავს ტომსკის უნივერსიტეტში ლექცია იმ შთაბეჭდილებათა შესახებ, რომელიც ლექტორს განუცდია თავის მოგზაურობის დროს. „Восточное Обозрѣніе"-ში დაბეჭდილია ეს შთაბეჭდილებანი. აი, ზოგიერთი ადგილი ამ ლექციისა:

რაკი გასცილდებით საზღვარს,—მოგვითხრობს ავტორი,—თქვენ თვალ-წინ გადიშლება ახალი, თქვენთვის სრულიად უცნობი ქვეყანა. მოგზაური გაკვირვებულია ცხოვრების სისრულით, სხვა-და-სხვაობით, ქონებრივის სიმდიდრით, შესიერებით, საზოგადოებრივ მოქმედების ენერგიით და გარეშე მოწყობილობის სიმშვენიერით. ეს მორთულობა თქვენთვის უცხო არაა. იქ პატივს სცემენ ტოლსტოის და გორკის ისე, როგორც გეტეს და შილლერს; ეს გახალისებთ, და თქვენც აქ ისე ჰგრძნობთ თავს, როგორც სამშობლოში.

მაინც ჩვენი ქვეყანა, რუსეთი, ძალიან ჩამორჩენილია კულტურულად დასავლეთ ევროპას, ჩვენ ღარიბნი, ღატაკნი ვართ, ჩვენი ცხოვრება მეტად მოუწყობელია. რისთვის არის ასე?

სახელმწიფოს თვალით თუ შევხედავთ საქმის ვითარებას, მიზეზი ჩვენის ამ გვარის ჩამორჩენისა სახელმწიფოს და საზოგადოების სხვა-და-სხვა მდგომარეობა უნდა იყოს.

როგორც ევროპაში იყო წინად, ისე ახლა ჩვენში საზოგადოება კარგა დიდის მანძილით არის დაშორებული სახელმწიფოს: ხალხის ცხოვრება სავსებით ამ უკანასკნელის სრულს განკარგულებასა და ბრძანებლობაშია: საზოგადოება-კი პასიურად ასრულებს დიდებულთა ინტერესებს. დასავლეთ ევროპაში-კი საზოგადოება თვითონ აქტიურს მონაწილეობას იღებს სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში, რაიცა უტყუარს და ძლიერს ფაქტორს უნდა წარმოადგენდეს სოციალურს ცხოვრებაში.

საზოგადოება ჩაერია ქვეყნის მართვაში, კრიტიკის თვალით უყურებს ადმინისტრაციის მოქმედებას., აი რა ანსხვავებს ჩვენსა და ევროპის ცხოვრებას.

ევროპის საზოგადოებასა და სახელმწიფოს შორის ასეთმა დამოკიდებულებამ ხელი შეუწყო თვითმმართველობას, საზოგადოებისათვის თვით მოქმედებისა და კანონიერების განვითარებას. ყველა ამას რუსეთი მოკლებულია.

საზოგადოებისა და სახელმწიფოს განცალკევება ხელს უწყობს საადმინისტრაციო თვითნებობის გაძლიერებას და ძალმომრეობის გაფართოვებას. აშკარაა, რომ სადაც ადმინისტრაცია თავის ნებით ჰმოქმედობს, სადაც მისი მოქმედება საზოგადოების კონტროლს არ ემორჩილება, მთავრობა მუდამ იმას სცდილობს, რომ თავის სამოქმედო ასპარეზი გააფართოვოს და კანონი და უფლება-კი შეჰზღუდოს. ამ გვარ ვითარებაში კანონი და სამართალი ყოველთვის შეკრეჭილია; სისხლის სამართალი საადმინისტრაციო სისტემას და დისციპლინას ემორჩილება.

იქ-კი, სადაც საზოგადოება მონაწილეობას იღებს სახელმწიფო საქმეში, კანონი, სამართალი და უფლება სავსებით დაცულია, რაიცა ხელს უწყობს ქვეყნის უმთავრეს მოთხოვნილებათა და ინტერესების განხორციელებას. აქ პიროვნების მოქმედებას, მეცნიერულ გამოკვლევას, ხელოვნურ შემოქმედებას თავისუფალი, ფართო სარბიელი აქვს მინიჭებული

დასავლეთ ევროპის ცხოვრების ამ გვარი წყობილება არ არის დათხკუთხებული, ერთ წერტილზედ გაყინული, ერთ დონეზედ გაჩერებული. ამ წეს-წყობილების გულის სიღრმეში სწარმოებს ისტორიული, საზოგადოებრივი პროცესი. ბურჟუაზიული საზოგადოების ელემენტების ნანგრევებზედ ფეხს იკიდებს ახალი, ცხოველ-მყოფელი ძალა საზოგადოებისა, ხალხის ცხოვრებისა. ეს პროცესი გამწვავებულ სოციალურის ბრძოლის ნაყოფია; მხოლოდ მარტო ამაშია დასავლეთ ევროპის საზოგადოებრივ ორგანიზაციის ღირსება და სიმშვენიერე: იგი სპობს ძველს საშიშროებათა, რომელიც ჰხდებოდა ცხოვრების დუღილის დროს და ხელს უწყობს მშვიდობიანის სოციალურ რეფორმის შემოღებას".

სასამართლო

გუშინ, 10 დეკემბერს, ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის საქმეთა მეორე განყოფილებაში უნდა გაერჩიათ საქმე კომერსანტ ერვიეს მკვლელობისა. ამ საქმის გამო სასამართლოში დაბარებული იყო ოცამდე მოწმე, მათ შორის გ. ჩიქოვანი, რომელიც არ გამოცხადდა. და ამიტომ სასამართლომ ჩიქოვანი 5 მანეთით დააჯარიმა საქმის განხილვა გადასდო ახალ განკარგულებამდე.

—

რომანოვსკის საქმე.

(დასასრული)

ერევნის ოლქის სასამართლომ ასწონა-დასწონა საქმის გარემოება და იმ დასკვნამდის მივიდა, რომ ლესკოვის ქალმა თავი თვითონ-კი არ მოიკლა, არამედ იგი მოჰკლა რომანოვსკიმ, რომელიც ამ დროს სახლში იყო. თუმცა რომანოვსკიმ განაცხადა, ამ დროს მე გახდილი ვიყავიო, მაგრამ არუთინ მარქაროვს კარგად შეუნიშნია, რომ რომანოვსკი ჩაცმული ყოფილა, სახელდობრ, სცმია ის ტანისამოსი, რომელშიაც მუდამ რევოლვერი ედო. ერევნის ოლქის სასამართლოს აზრით, რომანოვსკიმ მოჰკლა ლესკოვის ქალი იმის გამო, რომ ქალი წაეჩხუბა მას საღამოზე და კლუბში არ უშვებდა, სადაც რომანოვსკის წასვლა უნდოდა. ოლქის სასამართლოს აზრით, უდანაშაულო კაცი ისე არ მოიქცევა, როგორც მკვლელობის ღამეს რომანოვსკი იქცეოდა: მაგ., რომანოვსკი მკვლელობის შემდეგ გამომძიებელთან გაიქცა და აღელვებით ჰკითხა: „ჩემზედ საჩივარი ხომ არაფერი არის". ოლქის სასამართლოს ზემო აღნიშნულ მოსაზრებით და იმის გამო, რომ რომანოვსკი ინტელიგენტი არის და თავი უნდა დაეჭირა, გადაუწყვიტა რომანოვსკის 5 წლით პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა. პირველ დღეს, 7 დეკემბერს, როცა საქმის გარჩევა დაიწყო, გამოწვეულ იქმნენ ექსპერტები მაისურიანცი და ჩუდნოვსკი, რომელთაც პალატა შეეკითხა: შესაძლებელია, თუ არა გაიგოთ ჭრილობის მიხედვით და საქმის გარემოების აწონ-დაწონვით, ქალს თავი თვითონ მოუკლავს, თუ სხვას მოუკლავს იგიო. ექსპერტებმა უპასუხეს, ხვალ, კვირას, 12 საათზე წარმოგიდგენთ ჩვენს დასკვნასაო, რომელ დრომდისაც სხდომა შეწყვეტილ იქმნა.

კვირას სხდომა 12 საათზე დაიწყო. ხალხი ძალიან ბევრი შეიკრიბა. ყველაზე მეტი იყვნენ ქალები და ნაფიცი ვექილის თანაშემწენი. უკანასკნელნი დაინტერესებულნი იყვნენ ო. ო. გრუზენბერგით. მაისურიანცმა, სასამართლოს გახსნისათანავე, დაიწყო ქაღალდზე დაწერილი დასკვნის კითხვა. როგორც მაისურიანცი, აგრეთვე ჩუდნოვსკი იმ დასკვნამდე მისულან, რომ რევოლვერი ძალიან ახლო ყოფილა ლესკოვის ქალის გულზე და ადვილი წარმოსადგენია, რომ ქალს თავი თვითონ მოეკლას, თუმცა ისიც არის შესაძლებელი, რომ სხვამ მიიტანოს ასე ახლო რევოლვერი და მოჰკლასო. დასკვნის წაკითხვის შემდეგ ექსპერტებს რამდენიმე კითხვა მისცა ბრალმდებლის აამხანაგმა გლაგოლევმა და შემდეგ დაიწყო საბრალმდებლო სიტყვა: ბრალდებულის საქციელი მკვლელობის ღამეს არა ჩვეულებრივი იყო: ის კაცი, რომელმაც დაჰკარგა უძვირფასესი არსება, გარბის ექიმთან და აფთიაქში-კი არა, არამედ პოლიციაში; „შესაძლებელია, მე მოვკალი", აცხადებს ის. უდანაშაულო კაცი ასე იტყვის? რომანოვსკის ყოველი ნაბიჯი რომ ავწონოთ კარგად, იმ დასკვნამდე მივალთ, რომ თავისს მოკვლა აქ ყოვლად წარმოუდგენელია. განსვენებულის დღიური და სულინის ჩვენება კარგად გვიხატავენ ბრალდებულს: ეს იყო დესპოტი, გახრწნილი, გამოუსადეგარი კაცი ოჯახობისათვის, ეს იყო იმნაირი კაცი, რომელიც ხშირად ითვრებოდა და უბრალო რამეებზე ქალს ეუბნებოდა: „ამისთვის ცხვირში სცემენ... ამისთვის ჰკლავენ". განა შესაძლებელია, რომ კაცმა დაჰკარგოს ძვირფასი არსება, გაიქცეს გამომძიებელთან და უთხრას: „ჩემზედ საჩივარი ხომ არა არის-რა". მოწმე ხობროვის ჩვენება აქ ყურადღებაში მისაღები არ არის, რადგან მან ათასჯერ შესცვალა ჩვენება. უფრო უნდა დაეჯეროს სროლაში გამოცდილ აფიცრებისაგან შემდგარ ექსპერტებს, რომელთაც განაცხადეს: „ქალი სხვის ხელით არის მოკლულიო". ჰქონდა რაიმე მიზეზები, რომ თავი მოეკლა ქალსა? აი, ამის ასახსნელად მივმართოთ დღიურს, რომელიც მან გაიჩინა 19 წლისამ, დღიურიდან სჩანს, რომ ქალი ყოფილა ნერვებ-აშლილი, რომელიც მიილტვოდა სადღაც, მისთვისაც გაუგებარ, საგნისაკენ... მართალია, პირველ წლების დღიურში აქვს გატარებული ის აზრი, კარგია თავის მოკვლაო, მაგრამ ამ ხანში ვის არ მოუვა ხოლმე ეს აზრი თავში? დღიურში სწერია: „დღეს ქუჩაზედ აფიცერი შემიყვარდა" ან კიდევ: „დღეს ცოდო ჩავიდინე, ვაკოცე ამას". აქედგან სჩანს, რომ განსვენებული ცოცხალი არსება იყო, უყვარდა სიცოცხლე და აფასებდა მას. ბრალდებული სიმთვრალის დროს ალერსს დაუწყებდა ხოლმე ლესკოვის ქალს, რითიც უკანასკნელისაგან ზიზღს გამოიწვევდა ხოლმე და აი, ეს ზიზღი გახდა მიზეზი იმისა, რომ რომანოვსკიმ მოჰკლა ლესკოვის ქალი. ამიტომ ვთხოვთ დაამტკიცოთ ოლქის სასამართლოს განაჩენიო.

ამის შემდეგ ორი საათი ილაპარაკა ბრალდებულის დამცველმა ო. ო. გრუზენბერგმა, რომელმაც გაარჩია ბრალმდებლის მოსაზრებანი ექსპერტების შესახებ; აღნიშნა აგრეთვე ისიც, რომ თავის მკვლელნი უფრო ხშირად თავში ან გულში ისვრიან ხოლმე რევოლვერსო. გრუზენბერგმა შემდეგ სთქვა: რომანოვსკის არა ბუნებრივი და საეჭვო საქციელი აიხსნება მხოლოდ იმით, რომ ბრალდებულმა ერთად-ერთი საყვარელი არსება დაჰკარგა, გამოუთქმელი მწუხარება დაატყდა თავს და ამ უბედურების დროს თანამგრძნობი არავინა ჰყავდაო. გრუზენბერგმა დაახასიათა ლესკოვის ქალი: ის იყო იმნაირი ქმნილება, რომელსაც უყვარდა თავისუფლება, თავისუფალი მოქმედება და ამასთანავე გატაცებული იყო იმ აზრით, რომ საზოგადოებისათვის სარგებლობა მოეტანა. ქალი იყო ნიჭიერი, მაგრამ არ შესწევდა საკმაო ძალა, რომ ცხოვრების უკუღმართობას გამკლავებოდა. მისი იმედები ჩქარა გაუცრუვდნენ, იმან სამსახური ვერ გაუწია საზოგადოებას, ის ჩაება ოჯახობის მძიმე უღელში. ამიტომ ის არ იყო ბედნიერი, რის გამოც ადვილი წარმოსადგენია თავის მოკვლაო. ო. ო. გრუზენბერგმა სთხოვა პალატას, ბრალდებული გაამართლეთო.

თავმჯდომარის კითხვაზე, თქვენ რაღას იტყვით საქმის შესახებო, ბრალდებულმა განაცხადა: ჩემმა დამცველმა ნიჭიერად წარმოსთქვა სიტყვა და ყველა საბუთები და მოსაზრებანი გამოარკვია, ამიტომ საქმის არსებით მხარეზე ვერას ვიტყვი. ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ ოლქის სასამართლოში მე არ მინდოდა თავი დამეცვა. მე მინდოდა, რომ ყოველივე სიმართლე ტფილისის სამოსამართლო პალატაში გამომჟღავნებულიყო, სადაც მე მიცნობენ. მე, როგორც ინტელიგენტს, არ შემეძლო ისე გავმხეცებულიყავ, რომ ორსული ქალი მომეკლა. მე უდანაშაულო ვარ.

სამოსამართლო პალატამ, მცირე თათბირის შემდეგ, როგორც მკითხველებს უკვე ვაცნობეთ, დაადგინა გარდაწყვეტილება, რომლითაც გააუქმა ოლქის სასამართლოს განაჩენი და ბრალდებული რომანოვსკი სრულიად გაამართლა.

—

გუშინ, 10 დეკემბერს, ტფილისის სამოსამართლო პალატაში გაირჩა საქმე სენაკის მაზრის ხაზინის ბუღჰალტრის თანაშემწის ბესარიონ შელიაძისა, რომელსაც ბრალად ედებოდა იმავე ხაზინის ბუღალტრის ან. კედროვის შეურაცხყოფა ხელის შეხებით.

ქუთაისის ოლქის სასამართლოს დამნაშავედ უცვნია შელიაძე და გადაუწყვეტია, ყოველ უფლებათა და უპირატესობათა ჩამორთმევა და საპყრობილეში 8 თვით დაპატიმრება. გუშინ პალატაში ბრალდებულს იცავდა ნაფ. ვექ. თანაშემწე ლ. ბახტაძე. მცირე ხნის თათბირის შემდეგ პალატამ გამოაცხადა განაჩენი, რომლითაც შელიაძეს უფლება და უპირატესობა დაუ რჩინა და გადაუწყვიტა დაპატიმრება მხოლოდ 6 თვით.

ბიბლიოგრაფია

Пѣснопѣнія на литургію св. Іоанна Златоустаго Грузинскаго (Кахетинскаго) распѣва Н. Кленовскаго.

ამ ოთხი-ხუთის წლის წინად, როდესაც ბ-ნ კლენოვსკი კახეთს იყო კახურ ხმების მოსასმენად, გვესიამოვნა და ვიფიქრეთ, რომ უნაყოფოდ არ ჩაივლის მისი კახეთში წასვლაო, რადგან ვიცით, რომ ბ-ნ კლენოვსკის მოვლილი აქვს მთელის რუსეთის თითქმის ყველა კუთხე და ამ მრავალ-ფეროვან ხალხის მუსიკა ცოტათი თუ ბევრად გაცნობილი აქვს. ბ-ნი კლენოვსკი თითქმის ერთნაირის ინტერესით იკვლევს და სწერს სხვა-და-სხვა ერის დამახასიათებელ მელოდიებს თუ სიმღერებს. სხვათა შორის, ბ-ნ კლენოვსკის მრავალ-ფეროვან ნაშრომ კრებულში შეხვდებით ჩვენს ქართულ ხმებსაც (გურულ, მეგრულ და ქართლ-კახურ კილოებს). კლენოვსკის, როგორც მუსიკის განვითარებულ მცოდნეს, ნიჭიც შესაფერისი აქვს. სხვისა რა მოგახსენოთ და ჩვენი სიმღერები ძალიან კარგადა აქვს დაწერილი, თუმცა ზოგიერთები თავისებურათა აქვს შეკეთებული. ბ-ნმა კლენოვსკიმ მოინდომა აგრეთვე ჩვენის საეკკლესიო გალობის გაცნობა და ნოტებად დაწერა. ამ აზრით, როგორც ზევითა ვსთქვით, ქ. თელავში მოისმინა ნამდვილი ქართული საეკკლესიო გალობა; იმისთანა მგალობელთა, რომელთაც თვით ცნობილ გალობის მცოდნე მღ. გრ. კარბელაშვილისაგან ჰქონდათ შესწავლილი. (ესენი იყვნენ მღ. ი. ჩიკვაიძე, ძმა ამისი სოლ. ჩიკვაიძე, კალატოზიშვილი და სხვ.).

მოისმინა და დაწერა კიდეც იქვე სამ ხმაზედ. შემდეგში შეუდგა ოთხ ხმაზედ გადაკეთებას. ჩვენ, დიდის იმედებით აღჭურვილნი, მოუთმენლად მოველოდდით ბ-ნ კლენოვსკის შრომის დათავებას. მალე მთლად დაიწერა, მაგრამ, ხომ მოგეხსენებათ, რა იღბლისანი გახლავართ, დასაბეჭდათ მომზადებული ოთხ ხმაზედ ჩვენი გალობა გზაში დაეკარგა სხვა ბარგთან ერთად, როცა პეტერბურგს მიდიოდა. როცა პირველად ბ-ნმა კლენოვსკიმ მითხრა ეს, თან მანუგეშა, მგონი ყველა შავები დარჩენილი მაქვს და იმათის შემწეობით დავწერ მეორეთაო.

ასე გრძელი წინასიტყვაობა იმიტომ მოგვივიდა, რომ დღეს, როდესაც ხელთა გვაქვს ბ-ნ კლენოვსკისაგან დაბეჭდილი ჩვენი წირვა ოთხ ხმაზედ, იგი ისეთი არ არის, როგორის მოლოდინიცა გვქონდა. გადავათვალიერეთ, დავუკვირდით ყველა საგალობლებს და უნდა მოგახსენოთ, რომ თუმცა კარგია მოსასმენათ, ჰარმონია მშვენიერია და ორიგინალური, მაგრამ ნამდვილად ვერ არის ყველგან დაწე-

რილი ჩვენი კილო. ბ-ნ კლენოვსკის შრომაში შევამჩნიეთ, რომ პირველი ხმა ყველა საგალობელში, გარდა: „მოვედით თაყვანი ვსცეთ“, „მხოლოდ შობილისა“ და „აქებდისა“, ყველგან თითქმის სისწორით არის დაწერილი, ასე რომ პირველი ხმა რომ ცალკე იმღერონ ან დაუკრან, მიხვდებით, რომ ქართული კილოა.

რაიცა შეეხება მეორე ხმას, ჩვენ ქართულ მეორე ხმას, ლმობიერს, გრძნობით და სასოებით სავსეს, დამახასიათებელს და ჩვენის გალობის სულის ჩამდგმელს,—ასეთ მეორე ხმას —ვერსად შეხვდებით. მთელ საგალობლებში გაბნეულად შეხვდებით აქა-იქ მეორე ხმის მიხვრა-მოხვრას, მაგრამ აქაც ერთნაირად-კი არ არის: ხან პირველი ამბობს მეორეს, ხან ალტი და ხან ტენორი და ისე უფერულად გამოდის, რომ ჩვენობა აღარ ეტყობა. ჩვენი მეორე ხმა იმისთანა ხასიათისა და თვისებისაა, რომ თუ ქართული გალობა ოთხ ხმაზედ არის დაწერილი, მეორე ხმა უეჭველად ალტის პარტიას უნდა ჰქონდეს.

ბ-ნ კლენოვსკის ჩვენის გალობის დახასიათება მიუნდვია დისკანტისთვის (პირველი ხმა) და ტენორისათვის და ალტი-კი თითქმის ყველგან სადა არის; მხოლოდ „რომელი ქერუბიმთა“-ში ალაგ-ალაგ შეხვდები ქართულ მეორე ხმას.

ბანი ბ-ნის კლენოვსკის წირვის წესში ძალიან ხშირად ორიგინალურია და, სრულიად თუ არა, მაინც ძალიან წააგავს ჩვენს ქართულს ბანს; თუმცა ზოგან ბანი ცოტა მოირუსულებს კიდეც. ერთის სიტყვით, ორ ჯგუფად შეიძლება გაიყოს მთელი საგალობლები.

1) არის იმისთანა საგალობლები, სადაც პირველის ხმის მოსმენას ირჩევს მსმენელი, ვიდრე ყველა ხმებისას ერთად, რადგან დანარჩენი ხმები უშლიან ქართულ გალობის დახასიათებას.

2) არის საგალობლები, სადაც ოთხისავე ხმის ერთად გალობა ზედ მიწევნით ჰგავს ჩვენს ქართულ კილოს, მაგ., „წმ. ღმერთო“, „ალლილუია“, „და სულისაცა“, „დიდება შენდა“, „წყალობა მშვიდობა“, „ღირს არს ჭეშმარიტად“, „ერთ არს წმინდა“, „კურთხეულ არს მომავალი“, „ნათელი ჭეშმარიტი“ და „დიდება აწ და“.

ჩემის აზრით, ზოგიერთ საგალობლის შეუხამებლობა იმის ბრალია, რომ, როდესაც მეორეთ შეუდგა ბ-ნი კლენოვსკი ჩვენის წირვის წესის წერას, შეიძლება ყველა საგალობლის შავები არ დარჩა და იძულებული იყო სხვა წყაროებისთვის მიემართნა. ბ-ნ კლენოვსკის, როგორც ამბობენ, ხელთა ჰქონია ბ-ნ გროზდოვისაგან გადაცემული ჩვენი წირვის წესი, სამ ხმაზედ დაწერილი აწ გარდაცვალებულ მ. მრევლოვისაგან, რომელიც ქ. ქუთაისში ყოფილა გალობის მასწავლებლად.

ვინ იცის, შეიძლება მთელი წირვა ბოლომდის არ იყო დაწერილი, ან შეიძლება დაწერილი ვერ იყო სინამდვილით, და უცხოსათვის, როგორიც უნდა იყოს იგი, ძალიან ძნელია სინამდვილის აღდგენა.

მართალია, ბ-ნი კლენოვსკი ფრიად განვითარებული კაცია და ნიჭიც შესაფერისი აქვს, მაგრამ მე ყოველთვის იმ აზრისა ვიყავ და ახლაც ვამბობ, რომ ჩვენი გალობა-სიმღერა უეჭველად ქართველმა უნდა დასწეროს, რასაკვირველია, მუსიკის მცოდნემ. უფრო მეტს ვიტყვი: შეიძლება ისე განვითარებით და დახელოვნებით მუსიკის მცოდნე არ იყოს ქართველი, მაგრამ ქართველს მაინც უფრო გაუადვილდება თავის სამშობლო ხმების წერა, ვიდრე უცხოს.—ეს ასეც უნდა იყოს, რადგან ჩვენი სიმღერა-გალობა იმდენად ორიგინალურია და იმისთანა განსაკუთრებულნი თვისებანი აქვს, რომ სხვას, გარეშე კაცს, ევროპიულ მუსიკაზედ აღზრდილს, ძალიან ეუცხოვება და ვერც ადვილად შეატყობს, თუ რას უფრო უნდა მიაქციოს ყურადღება, რა უფრო უნდა დაიცვას, რომ ჩვენს გალობა-სიმღერას სახე არ შეეცვალოს...

შემდეგ ყველა ამისა, ჩემის აზრით, ბ-ნი კლენოვსკი მაინც დიდის მადლობის ღირსია ამ სურვილისათვის და უსასყიდლო შრომისათვის, რომელიც მან იკისრა და აღასრულა კიდეც; თუ მთლად არ აგვისრულა იმედები, არც ისე გამოუსადეგარი და უმნიშვნელოა ბ-ნ კლენოვსკის შრომა, როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ. ზოგიერთები თითქმის დაცინვის კილოთი იხსენიებენ ბ-ნ კლენოვსკის შრომას, მაგრამ, ხომ მოგეხსენებათ, ყველას სიტყვა როდი უნდა იწყინოს კაცმა...

ზ. ი. ჩხიკვაძე.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

9 დეკემბერი.

პეტერბურგი. მათმა იმპერატორებითმა უდიდებულესობამ ხელმწიფე იმპერატორმა და დედოფალმა იმპერატრიცამ, უავგუსტოესის შვილებითურთ, 8 დეკემბერს კეთილ ინებეს და საიმპერატორო მატარებლით პეტერბურგს წაბრძანდნენ.—7 დეკემბერს არტილლერიის ცხენოსანთა ბრიგადამ პატივი სცა თავის უფროსად ნამყოფს დიდ მთავარს მიხეილ ნიკოლოოზის ძეს, 70 წლის შესრულებისა გამო, მას შემდეგ, რაც დიდი მთავარი მეორე ბატარეის სიაში ჩარიცხულ იქმნა და 50 წლიწადი, რაც ბრიგადის უფროსად დაინიშნა. დილის 11 საათზე დიდი მთავარი მანეჟში მიბრძანდა. პარაკლისის შემდეგ ბრიგადის უფროსმა ხატი მიართვა. დიდმა მთავარმა მადლობა გადაუხადა. შემდეგ აფიცერთა საკრებულოში საუზმე გაიმართა, უავგუსტოესმა იუბილიარმა წარმოსთქვა სადღეგრძელოები ხელმწიფე იმპერატორისა, დედოფლისა, ხელმწიფე მემკვიდრისა და გვარდიის ცხენოსანთა არტილლერიისა.

ეკატერინოსლავი. საგუბერნიო ერობამ ერთხმად დაადგინა ჰბეჭდოს ყოველ კვირეული გაზეთი ერობისა და ქალაქის საქმეების გამოსარკვევად.

პარიჟი. შესწყვიტეს გამოძიება რიტკევსკის საქმის გამო. რიტკევსკის ამერიკელ ქალის გორის მოკვლა ჰბრალდებოდა.

ახალი-მარგელანი. ანდიჟანსა და იმის გარშემო ყოველივე საშინლად დაქცეულ-დანგრეულია.

ასხაბადი. რადგანაც ანდიჟანში ქალაქის სადგურის შენობანი დაიქცა, ახლად მოსულ მგზავრთათვის სადგურზედ არ მოიპოვება არც სადგომი და არც სურსათი.

კოკანდი. დაზარალებულ ანდიჟანელთა სასარგებლოდ აქედგან სამჯერ გაიგზავნა თბილი ტანისამოსი და სურსათი.

ვარშავა. „Варш. Днев.“-ი იუწყება, რომ იმ მილოცვის პასუხად, რომელიც ხელმწიფე იმპერატორს 6 დეკემბერს გაეგზავნა, ამ ქვეყნის უფროსმა მიიღო: „გულწრფელს მადლობას გითვლით თქვენცა, ვარშავის ოლქის მამაც ჯარსაც და პოლონეთის სამოქალაქო დაწესებულებათაც მილოცვისა და გრძნობათა გამოთქმისათვის. ნიკოლოზ“.

ასხაბადი. რკინის გზას მიწის ძვრისაგან უმნიშვნელო ზარალი მოუვიდა. სადგურის დანგრეულ შენობათა თხრას ჯერ არ შესდგომიან. მოხელენი ვაგონებში იმყოფებიან. ავადმყოფნი და დაშავებულნი მარგელანში გაჰგზავნეს. ანდიჟანიდგან 10 დეკემბრამდე წასვლა უსასყიდლოდ შეიძლება. მატარებლები სავსეა ქალაქიდგან მიმავალ მცხოვრებლებით. მიწა ჯერ კიდევ ირყევა.

მადრიდი. ემბერებს, რომელნიც სხვისის გვარით სცხოვრობდნენ აქ, ჩვენება ჩამოართვა საფრანგეთის ელჩმა და დააპატიმრა. მეფემ მიულოცა პრეფექტურას. ესპანიის პოლიციამ შემწეობა აღმოუჩინა საფრანგეთისას.

სოფია. მაკედონელნი ემზადებიან გრაფ ლამზდორფის დასახვედრად.

ცეტინიე. მთავარმა ნიკოლოზმა სიტყვა წარმოსთქვა რუსეთისა, სერბიისა და ბულგარიის დიპლომატთა თანადასწრებით. სიტყვაში რეფორმათა პროგრამა განმარტა: ტახტის მემკვიდრეობის საქმის გაწესრიგება, ნამოქალაქო დებულების გადასინჯვა, განსაზღვრა მთავრობისა და სახელმწიფო საბჭოს უფლებათა და სამხედრო სასამართლოს საკასაციო სასამართლოდ გარდაქმნა. რეფორმას საფუძვლად დემოკრატიული პრინციპი დაედება.

რომი. პალატამ მოიწონა ფინანსთა მინისტრის ანგარიში. 190½ წლის ბიუჯეტით ხარჯს 32.500,000 გადარჩება. სახელმწიფო კრედიტით სარგებლობა და ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობა განკარგების გზას ადგია. პალატის კრება 14 იანვრამდე გადაიდო.

სტამბოლი. ხელმწიფე იმპერატორის სახელწოდების დღესასწაულის გამო სულთანმა და ხელმწიფე იმპერატორმა ერთმანეთს დეპეშები გაუგზავნეს,

სევასტოპოლი. მათნი უდიდებულესობანი შვილებითურთ „შტანდარტით“ სევასტოპოლს მობრძანდნენ. იახტაზე დაესწრნენ წირვას. საუზმის შემდეგ მისმა უდიდებულესობამ საზღვაო ყაზარმები დაათვალიერა.

იალტა. დედოფალმა იმპერატრიცამ ალექსანდრა თეოდორეს ასულმა დაათვალიერა სანატორია იმპერატორ ალექსანდრე მესამისა და მოწყალედ ესაუბრა ავადმყოფთ.

ასხაბადი. ანდიჟანის მაზრის სოფ. ასაკაში 197 ადამიანის გვამი ამოსთხარეს ნანგრევთა შორის.

პარიჟი. სტუდენტთა პატიებამ აქ ყველანი გაახარა. პარიჟის გაზეთები ჰბეჭდავენ უმაღლეს ტელეგრამის შინაარს. „Correspondence Polit. სწერს, ეს პატიება გვიმტკიცებს იმ მამობრივს გრძნობას, რომლითაც თავის ხალხის მიმართ გამსჭვალულია ახალგაზრდა იმპერატორი, იმ დიად ჰუმანიურ საქციელთა ინიციატორი, რომელიც ჰააგის კონფერენციაში გამოიხატა. ხელმწიფემ, დაუბრუნა რა სტუდენტები თავიანთ მშობლებს, ამით მოაგონა მოვალეობა—თავიდან აიცილონ შვილებს მავნე აგიტატორთა გავლენა.

სტამბოლი. პორტამ დაუგზავნა ცირკულიარულ დეპეშის პირი მთავარ ინსპექტორს, ვალიებს და სამხედრო უფროსებს; ამ დეპეშით სასტიკად აღკრძალულია ძალმომრეობა და მცხოვრებთა შეწუხება.

პერა. სალონიკისა, მონასტირისა, კოსოვისა, სკუტარისა და იანინის გენერალ-გუბერნატორებმა სასტიკი ბრძანება მიიღეს, რომ 20 დღის განმავლობაში პასუხის გებაში მისცენ ისინი, ვინც საზოგადო წეს-რიგის დარღვევას მოისურვებენ.

ვაშინგტონი. რუზველტს არავითარი სურვილი არა აქვს შუაკაცობა გასწიოს. უკეთესი იქნება საქმე ჰააგის სამედიატორო სასამართლოს გადაეცეს განსახილველადაო, ხოლო თუ ეს არ მოხერხდა, მაშინ რუზველტი დასთანხმდება შუაკაცობა იკისროს.

პარიჟი. რესპუბლიკელთა გაზეთები სიხარულით მიეგებნენ ემბერთა დაპატიმრებას. ამის შემდეგ ნაციონალისტები ამ საქმეს თავიანთ სასარგებლოდ ველარ გამოიყენებენ.

კარაკასი. კასტრომ თანხმობა განაცხადა მოკავშირეთა წინადადებაზედ და რუზველტი იცნო სამედიატორო მოსამართლეთ.

რომი. მარკონი დეპეშით ატყობინებს „სტეფანის სააგენტოს“, მე ისე მოვაწყე საქმე, რომ შეიძლება უმავთულო ტელეგრაფით ცნობები გადაიცეს ატლანტიის ზღვის იქითაო.

10 დეკემბერი

ასხაბადი. მიწის-ძვრა თანდათან მატულობს. რუსებმა თავი შეაფარეს რკინის გზის სადგურებს; ოლქის უფროსის ივანოვის და რკინის გზის უფროსის მოადგილეს მეცადინეობით გამართულ იქმნა დროებითი თავშესაფარი, რომელშიაც მოთავსებულ იქმნა მთავრობის დაწესებულებანი. საპერები დიდის თავ-გამოდებით მოქმედებენ. 4000-მდე კაცი იმსხვერპლა ამ საზარელ მოვლენამ; მათგან 800 გვამი იპოვნეს. დაარსდა მცხოვრებთათვის უფასო სასადილოები. დახმარება ძლიერ სუსტობს. სახელმწიფო ხაზინა, სადაც ხუთი მილიონი ინახებოდა დაინგრა.

ბელგრადი. მეფემ წარმოსთქვა სიტყვა, რომლითაც დამსწრეთ აუწყა, რომ ტახტის მემკვიდრეობის შესახებ ლაპარაკი ჯერ სრულიად ნაადრევიაო, და თუ რაიმე საჭიროება მოითხოვს მის განმარტებას მე ხალხის თანხმობით ვიხელმძღვანელებო.

ლონდონი. შანსიდგან იუწყებიან: ტუნფუსიანი სალაშქროდ ემზადებაო; მას მიწერ-მოწერა აქვს გამართული პრინც ტუანთანო.

ხმა დადის, ვითომ ტუნფუსიანს განუზრახოს შანსისა და კანსუს პროვინციებში მყოფ უცხოელთა შემუსვრა და შანსის სატახტო ქალაქის ხელში ჩაგდება. ჩინელი მოხელენი კანსუში ურჩევენ ყველა უცხოელებს პროვინციიდგან წასვლას.

გარდაიცვალა კრაფტ-ებინგი.

რომი. ხვალ იტალია გარდასცემს შეერთებულ შტატებს წერილს, რომ ვენეცუელის საქმეში რუზველტი ჩაერიოს გერმანიისა და ინგლისის თანხმად, რომლებიც ხვალ გაუგზავნიან წერილსაო.

პეტერბურგი. „Прав. Вѣст.“-ში დაბეჭდილია: დეკემბრის 8-ს სევასტოპოლში ხელმწიფე იმპერატორმა დაათვალიერა შავი ზღვის ფლოტი და ახალი კორპუსი. ახალ გაყვანილ ჯარის კაცთ მათმა იმპერატორებითი უდიდებულესობამ შემდეგის სიტყვებით მიმართა:

„გიხძლდო ისე ერთგულად და პატიოსნურად იმსახუროთ, როგორც ემსახურებოდნენ შავი ზღვის ფლოტში თქვენი პაპები და მამები ტახტს და საყვარელ სამშობლოს. სახელ-განთქმულ ანდრეევის დროშის პატივი და ღირსება ყოველთვის მაღლა გეჭიროთ. მშვიდობით ძმებო“.

მათი უდიდებულესობა ოთხის ნახევარ საათზე „შტანდარტ“-ით უკან დაბრუნდა.

პეტერბურგის ბირჟა, 3 დეკემბერს.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,80
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	37,37½
ლონდონში ჩეკები	94,75
ბერლინში ,,	46,30
პარიჟში ,,	—
ბირჟის დისკონტი	5—6½%
4% სახელმწიფო რენტა	97¾ მყიდ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	99½ მყიდ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	94½ მყიდ.
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	485 გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	374½ გაყ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	307 გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	—
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	—
აქციები ,, ,, ,, ,,	—
,, კასპიის ამხანაგობისა	—
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	—
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	204 წვ. გაყ.

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდგან 15 მაისამდე.

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში-კი—ტფილისისა).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს:—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

ბაქოს:—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

ყარსს:—1) საფოსტო № 70/71 საღამოს 10 ს. 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლისა № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

მიხაილოვისა და ბორჯომს:—სამგზავრო № 7 ნაშუადღევის 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

ზორაპნამდე:—საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს. 21 მ.). წა

გ) ბაქოდგან გამოდის:

ტფილის ბათუმისაკენ: —1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 42 წ. (3 ს. 40 წ.); 3) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) პარასკეობით, პირდაპირ მოსკოვიდგან მოსული)—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

დ) ქუთაისიდგან გამოდის:

ბაქო ტფილისისაკენ:—ღამის 1 ს. 30 წ. (2 ს. 38 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 1 ს. და 40 წ. (2 ს. 38 წ.);

ბათუმისაკენ: 1) ღამის 3 ს. და 10 წ. (4 ს. 8 წ.) 2) ნაშუადღევის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.) 3) საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

ზორაპნისაკენ:—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

ე) ფოთიდგან გამოდის:

რიონ-ქუთაისამდე:—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

სამტრედია-ბათუმამდე: —ნაშუადღევის 3 ს. 27 წ. (4 ს. 25 წ.).

სამტრედია-ბაქომდე:— საღამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ,).

განცხადება

ამერიკულ ვაზის

აფხანაურის სანერგე მიხრან ალექსანდრეს ძის ანანოვისა

(რკინის გზის რიონის სადგურის მახლობლად).

იყიდება ამერიკულ ვაზზედ ერთის წლის დამყნილი ადგილობრივ და ფრანგულ ჯიშის ვაზები, 1000 ცალი 100 მან.

ამერიკულ ვაზის რქა დასამყნობად:

Rupestris Monticola 1000 მეტრი . 15 მ.

Riparia gloire de Montpellier . . 10 „

Berlandieri კირნარევ ნიადაგისათვის. 3? „

ამერიკული რქა დასარგავად:

Rupestris Monticola 1000 მეტრი . 5 „

Riparia gloire de Montpellier . . 3 „

Berlandieri . . . . 15 „

მსურველს შეუძლიან დაიკვეთოს ნერგები მომავალ 1903—904 წლ. სეზონისათვის.

ადრესი: Ст. Ріонъ, Михрану Ананову.

(10—471—3)

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

„ჯეჯილი“

წელიწადი მეთოთხმეტე.

გამოვა 1903 წელსაც თვეში ერთხელ იმავე პროგრამით, როგორადაც აქამდის.

ჟურნალი „ჯეჯილი“ მიღებულია ტფილისის საეპარქიო და კავკასიის ოლქის სამოსწავლო რჩევებისაგან სასწავლებლების საკითხველოებში საკითხავად.

ჟურნალი „ჯეჯილი“ ტფილისში დატარებით ღირს 4 მან., ტფილისს გარეშე გაგზავნით 5 მან., ცალკე ნომერი 50 კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახევარ წლით.

ხელის მოწერა მიიღება:

1) **ტფილისში**—„წერა-კით. გამ. საზოგად.“ კანცელარიაში (Дворцовая ул. д. Груз. Двор., № 101) და თვით „ჯეჯილი“-ს რედაქციაში (Артиллер. ул. № 5, возлѣ Кадетскаго корпуса).

ფოსტის ადრესი: *Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“.*

(3—1.—1)

САРАТОВСКАЯ САРПИНКА

508

образцовъ въ изящномъ альбомѣ высылаются за 49 коп. почт. мар.

на лѣтній сезонъ 1903 года,

легкая лѣтняя ткань для платьевъ и бѣлья.

Продажа оптомъ и въ розницу, пересылка розничныхъ заказовъ безплатно.

Фабриканты Торговый Домъ

„Андрей Бендеръ Сыновья“.

въ Саратовѣ, Никольская улица.

(4—б.—1)

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1903 ГОДЪ

на газету

„Тифлисскій Листокъ“

(ГОДЪ ИЗДАНІЯ XXVI-й)

Въ 1903 году, какъ и раньше, газета будетъ выходить ежедневно, заключая въ себѣ слѣдующіе отдѣлы и подъотдѣлы: I. Дѣйствія и распоряженія правительства. II. Телеграммы отъ собственныхъ корреспондентовъ и «Россійскаго телеграфнаго агентства». III. Статьи по общимъ краевымъ вопросамъ, а также по вопросамъ городской жизни и городского самоуправленія. IV. Внутреннія извѣстія. V. Иностранныя извѣстія. VI. Мѣстный отдѣлъ (хроника тифлисской жизни и другихъ мѣстъ Кавказа и Закавказья). VII. Корреспонденціи изъ разныхъ мѣстъ Кавказа (отъ нашихъ корреспондентовъ). VIII. Злободневные фельетоны. IX. Судебный отдѣлъ. X. Письма читателей. XI. Обзоръ печати (общей и кавказской). XII. Фельетоны (городской, обозрѣніе кавказской жизни, популярно-научный, историческій, беллетристика, иностранной и внутренней общественной жизни, журнальное обозрѣніе и др.). XIII. Театръ и музыка. XIV. По Россіи. XV. Смѣсь. XVI. Справочный отдѣлъ и объявленія.

По мѣрѣ надобности будутъ выходить отдѣльныя „иллюстрированныя прибавленія“.

По понедѣльникамъ подписчикамъ будутъ разсылаться телеграммы съ справочнымъ отдѣломъ и объявленіями.

(3—в.—1)

---

*) იხ. „ივე

Тифлисъ, 10 декабря 1902 г. Типографія «Гутенбергъ» (кн. Гр. Н. Діасамидзе.) Дворцовая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. სარაჯიშვილი